უფასო

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

№ 12 | წლიწადი მეხუთე | 1941 წ.

## სპეციალური დამატება

# დადგენილებანი

## საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიისა სამამულო ომის პირობებში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ.

შინაარსი

1. ღონისძიებანი მიღებული საქ. სსრ ავტ. რესპუბლიკების განსახკომების, ავტ. ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირისა, განათლების სახ. კომისრის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენების — „სკოლის ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში“-ს გამო . . . 2
2. დადგენილება: გეოგრაფიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში . . . 7
3. დადგენილება: მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში . . . . . . . 10
4. დადგენილება: მათემატიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებთან შეფარდებით . . . . . . . . . . . 13
5. Постановление: О постановке изучения русского языка и литературы в школах Груз. ССР в условиях отечественной войны . . . . . . . . 16
6. დადგენილება: ბიოლოგიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში. 19
7. დადგენილება: ფიზიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებთან შეფარდებით, . . . . . . . . . . . . . 21
8. Постановление: О постановке изучения русского языка и литературы в русских в школах Гр. ССР в условиях отечественной войны . . 24
9. დადგენილება: სამამულო ომის პირობებში თავდაცვით ღონისძიებათა გატარების შესახებ დაწყებით, არასრული საშუალო სკოლებსა და პედსასწავლებლებში . . . . . . . . . . . . . . . 27
10. ბრძანება № 5216—დროებით ევაკუირებულ მოქალაქეთა შვილებისა და სტუდენტების სკოლებსა და უმაღლეს სასწ. ჩარიცხვის შესახებ . . . . . . . . . . . 30

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1941

განხილული და მოწონებულია საქ. სსრ
განსახკომის კოლეგიის მიერ.
1941 წ. 31 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი გ. კიკნაძე

# ღონისძიებანი

## მიღებული საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირის მიერ, განათლების სახალხო კომისრის ამხ. **გ. კიკნაძის** მოხსენებისა — „სკოლის ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში“-ს — გამო.

თათბირი აღნიშნავს, რომ დიდი სამამულო ომის პირობებში, როცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მრავალმილიონიანი ხალხი, მისი სახელოვანი წითელი არმია და წითელი ფლოტი ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით, პროგრესიული კაცობრიობის მხარის დაჭერით, აწარმოებს გაათრებულ გმირულ ბრძოლას მთელი მსოფლიოს ხალხების უსაზიზღრეს მტრებთან — ავაზაკ ფაშისტების ურდოებთან, — საბჭოთა სკოლის წინაშე დგას ამოცანა — კიდევ უფრო გააძლიეროს აღზრდა სოციალისტური სამშობლოს დაცვისა და ფაშიზმის განადგურებისათვის ერთგული, ბრძოლის უნარიანი, გაბედული და შეუპოვარი მებრძოლებისა, რომლებიც მზად იქნებიან, შესწირონ საკუთარი სიცოცხლე საყვარელ სამშობლოს, ლენინ-სტალინის მსოფლიო-საკაცობრიო იდეალების განხორციელებას.

საბჭოთა საქართველოს მასწავლებელთა მრავალრიცხოვანმა არმიამ მთელი თავისი მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას დიდი სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად. ჩვენი მასწავლებლობა მტკიცედ უნდა ატარებდეს თავისი ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში დიდი ბელადის **სტალინის** მოწოდებას, — „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ამოცანებს“.

ჩვენს წინაშე ამჟამად დგას გადაუდებელი საბრძოლო ამოცანები:

ა) გაუმჯობესდეს სკოლის სასწავლო-საღმზრდელო მუშაობის ხარისხი იმ საფუძველზე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა წარმატებით მომზადება შრომისა და ქვეყნის თავდაცვისათვის;

ბ) არსებითად გარდაიქმნას მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული და სამხედრო-სანიტარული სწავლება და უზრუნველყოფილი იქნეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შეიარაღება აქტიური მებრძოლისათვის საჭირო სამხედრო ცოდნითა და ჩვევებით;

გ) კიდევ უფრო გაძლიერდეს მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის — დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების, ფაშისტ-მტარვალებისადმი უსაზღვრო სიძულვილისა და მათი განადგურების, ლენინ-სტალინის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის მზადყოფნისა და თავგანწირვის გრძნობების აღზრდა;

დ) სკოლის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით ფართოდ იქნას ჩაბმული მოსწავლეთა მასები მათი ძალღონისათვის შესაფერის საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობაში, რათა ჩვენს გმირულ წითელ არმიას, ჩვენს ფრონტს სათანადო დახმარება გაეწიოს.

ამ ამოცანების წარმატებით და მაღალხარისხოვნად განხორციელების მიზნით, თათბირს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი.

**I. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების უზრუნველყოფისა და სასწავლო რეჟიმის განმტკიცების დარგში.**

1. იმის გამო, რომ დიდი სამამულო ომის პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად შეამოწმონ რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობა და მიაღწიონ სასკოლო ასაკის ბავშვთა მთლიანად ჩაბმას სკოლებში.

2. აღიკვეთოს სკოლებში სასწავლო რეჟიმის შესახებ მიღებულ დირექტივის დარღვევის შემთხვევები და სასწავლო ცვლებში მეცადინეობის დაწყება-დამთავრების, გაკვეთილებისა და დასვენების დრო და ხანგრძლივობა ზუსტად განისაზღვროს განსახკომის ა/წ 28 აგვისტოს ინსტრუქციის მიხედვით.

3. განათლების განყოფილებებმა უმოკლეს ვადაში რაიონის ყველა სკოლაში, შეამოწმონ სამეცადინო ცხრილები, მათში პედაგოგიური პრინციპის დაცვის თვალსაზრისით და ადგილებზე შეიტანონ ცხრილებში საჭირო საბოლოო შესწორებანი, რის შემდეგ აიკრძალოს ცხრილში რაიმე ცვლილების შეტანა სასწავლო წლის განმავლობაში.

4. ყველა სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას, დერეფნებში, მინიან ჩარჩოებში, მოთავსებულ იქნას სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენური მინიმუმი და უზრუნველყოფილი იქნას მათი დაცვა-გატარება.

**II—მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული და სამხედრო-სანიტარული მომზადებისა და თავდაცვითი მუშაობის დარგში.**

5. განათლების განყოფილებებმა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით უმოკლეს ხანში უზრუნველყონ სკოლები სამხედრო მომზადების, ფიზკულტურისა და სამხედრო-სანიტარულ საქმის მასწავლებელთა კადრებით.

6. საბოლოოდ აღიკვეთოს და „არავითარი კვალი არ უნდა დარჩეს სამხედრო-ფიზკულტურული საქმის იმ ცარიელი, უვარგისი სწავლებიდან, როდესაც იგი მიმდინარეობდა სათბურებში, ოთახებში, ორანჟერეულ პირობებში“ (გაზ. „იზვესტიას“ მეთაურიდან). ამ დისციპლინათა სწავლების საველე პირობებში და პრაქტიკულად ჩატარებისათვის სკოლები უახლოეს დროში იქნეს უზრუნველყოფილი საველე დაბრკოლებათა ზოლით, ფიზკულტურული მოედნით, ხელჩართული ბრძოლისათვის საჭირო რაოდენობის იარაღებით, თოფებით, ხელყუმბარებით, თხილამურებით (თოვლიანი რაიონებისათვის), სახვევი მასალით, აუცილებელი მედიკამენტებით და სხვა საჭირო იარაღ-მოწყობილობით.

7. მკაცრად იქნეს დაგმობილი ზოგიერთი განათლების ადგილობრივი ორგანოს და სკოლის ხელმძღვანელების მხრივ სამხედრო-ფიზკულტურული საქმის შეუფასებლობა და მასზე ფორმალური ზედამხედველობის პრაქტიკა. სისტემატური ხასიათი მიეცეს დახმარებას ამ დისციპლინათა მასწავლებლებისათვის: სამუშაო-გეგმების შედგენაში, სასწავლო-მუშაობის ორგანიზებაში, საკუთარი იდეური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში; მათ გაკვეთილებზე დაესწრონ განათლების განყოფილებათა მუშაკები, სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები; მოეწყოს მათთვის მეთოდური თათბირები თვით სკოლებში, უბნებსა და რაიონის ცენტრში; სამხედრო-ფიზკულტურული საქმის სწავლების მდგომარეობის შესახებ საკითხები დროულად იქნეს მოსმენილი პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

8. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლების დირექტორებმა უმოკლეს ხანში მოაწყონ თავშესაფრები მოსწავლეებისათვის და ამასთან ერთად, უზრუნველჰყონ სასკოლო შენობები ხანძრის წინააღმდეგ საჭირო ყველა საშუალებებით: წყლის კასრებით და წყლით, ცეცხლმაქრებით, სილით, ბარებით და სხვა ინვენტარით.

9. სამხედრო-ფიზკულტურული მომზადე-

ბის დარგში სკოლის წინაშე დასმული ახალი ამოცანებისა და სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების საქმის მეთოდიკის ძირითადი საკითხების კონკრეტულად გაცნობის მიზნით, სისტემატურად ეწყობოდეს სამხედრო საქმისა და ფიზკულტურის მასწავლებელთა რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო მოკლევადიანი კურსკონფერენციები.

10. ფართოდ იქნეს გაშლილი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა სამხედრო თავდაცვით დარგში. ფიზკულტურული საწრეო მუშაობა მთლიანად შეუფარდდეს სამხედრო და თავდაცვით ამოცანებს. მთელს სკოლისა და კლასგარეშე სამხედრო-თავდაცვით მუშაობას უშუალო დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლების დირექტორებმა.

11. დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ განსახკომის ფიზკულტურის ინსპექციამ შეისწავლონ და განაზოგადონ სკოლისა და მასწავლებლის საუკეთესო გამოცდილება სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების დარგში და გამოსცენ სათანადო პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის წერილები.

### III. ზოგად საგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების დარგში.

12. ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლება გარდაიქმნას იმგვარად, რომ ჩვენი ხალხის გმირული წარსულისა და თანამედროვე სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის თავდადებული ბრძოლის მაგალითების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა (ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში და სხვ.).

13. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ და განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა შეისწავლონ და განაზოგადონ ცალკე სასწავლო დისციპლინების დიდი სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად სწავლების საქმეში სკოლებისა და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება.

14. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი საინსტრუქციო და საკონტროლო შემოწმებით მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირების საქმის გამორკვევას და სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარებით, საუკეთესო ნიმუშების გამოვლენითა და მასობრივ მასწავლებლობამდე დაყვანით მიაღწიონ სამამულო ომის პერიოდში სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების მაღალხარისხოვნად განხორციელებას.

15. თათბირი დაუშვებლად თვლის ყურადღების შენელებას სკოლების წინაშე სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის დასმული ამოცანებისადმი და მოითხოვს საქართველოს სსრ განსახკომის სათანადო დადგენილებათა და მითითებათა საფუძველზე ეხლავე დაისახოს და გატარდეს ადგილებზე კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების, რუსული ენის დაუფლების, თეორიული სწავლების საზოგადოებრივ პრაქტიკასთან დაკავშირებისა, მომავალი პრაქტიკულ მუშაობისათვის მოსწავლეთა მომზადებისა და უცხო ენების სწავლების არსებითად გაუმჯობესებისათვის.

### IV. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში.

16. ლიტერატურის, ისტორიის და გეოგრაფიის წრეების საქმიანობა გარდაიქმნას იმ საფუძველზე, რომ მათ მუშაობაში ასახულ იქნას 1812 წლის სამამულო ომი დამპყრობელთა წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ხალხების და ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების რომანტიკა და ჰეროიკა.

17. კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა ცენტრში მოქცეულ იქნას: სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული წრეების მუშაობა, საჰაერო-ქიმიური თავდაცვა და მოსწავლეთა მიერ სანიტარული საქმის დაუფლება.

18. ტექნიკური წრეების მუშაობა მოე-

წყოს იმგვარად, რომ მათში განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს მოსწავლეთა მიერ სამხედრო-ტექნიკური ცოდნისა და ჩვევების დაუფლებას, გამომგონებლობას და სხვ.

19. ფართოდ იქნეს გაშლილი მოსწავლეთა შორის საგმირო და სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ამ მიზნით ლიტერატურის, ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებლებმა და სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა სისტემატურად აწარმოონ მოსწავლეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მიუთითონ მათ წიგნებზე და მოაწყონ საუბრები წაკითხული წიგნების გარშემო.

20. საქართველოს სსრ განსახკომის საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ დააჩქაროს 1941 წლის საგამომცემლო გეგმით გათვალისწინებული საგმირო და სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ლიტერატურის გამოცემა და 1942 წლის საგამომცემლო გეგმის შედგენის დროს მეტი რაოდენობით გაითვალისწინოს საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებული ლიტერატურის გამოცემა.

### V. საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის დარგში.

21. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისა და სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებების შესახებ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში მასწავლებელთა მონაწილეობას მომავალში უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცეს. მასწავლებლობა ფართოდ იქნეს აგრეთვე ჩაბმული წვევანდელთა რუსულ ენაში მომზადების საქმეში. სკოლების დირექტორებმა მასწავლებლების მუშაობას ამ დარგში უშუალოდ უხელმძღვანელონ.

22. მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა მოეწყოს იმ საფუძველზე, რომ იგი წარმოადგენდეს კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას და ხელს უწყობდეს დიდი სამამულო ომის ამოცანების განხორციელებას, — ამ საქმეში მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებითა და დაცვით.

23. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ და განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა უმოკლეს ხანში შეადგინონ და დაიყვანონ ადგილებამდე საინსტრუქციო-მეთოდური წერილები შემდეგ თემებზე: ა) სკოლის დახმარება წითელარმიელთა ოჯახებისათვის, ბ) მოსწავლეთა მონაწილეობა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობაში, გ) მოსწავლეთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო შრომაში. ამასთანავე, ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად გარდაქმნის შესახებ საინსტრუქციო-მეთოდური წერილების შედგენისას გათვალისწინებული იქნეს საგნის სწავლებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა მიერ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის ჩატარების სახეები და სათანადო მეთოდიკური მითითებანი.

24. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის სწორად ორგანიზებასა და ნაყოფიერად ჩატარებაში, სისტემატურად შეამოწმონ ადგილებზე ამ დარგში ჩატარებული მუშაობა და ყოველმხრივად შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების გაშლას სკოლებსა და სკოლებს შორის, კლასებს შორის, მოსწავლეთა შორის და საუკეთესო გამოცდილება ამ დარგში განაზოგადონ.

### VI. პოლიტგანმუშაობის დარგში.

25. ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უშუალოდ მოჰკიდონ ხელი პოლიტგანდაწესებულებათა ხელმძღვანელობას და იმგვარად გარდაქმნან მუშაობა, რომ სამამულო ომის პირობებში პოლიტგანდაწესებულებები გადაიქცნენ სოფლად საagitაციო-მასობრივ

და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ნამდვილ ცენტრებად.

26. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული ქოხ-სამკითხველო, საკოლმეურნეო და სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და მუზეუმი ყოველდღიურად ატარებდნენ პოლიტიკურ ინფორმაციას დიდი სამამულო ომის შესახებ; განუმარტონ მოსახლეობას პარტიისა და მთავრობის, საჰაერო თავდაცვის შტაბების დადგენილებანი, დაეხმარონ მათ სამხედრო ცოდნის დაუფლებასა და საჰაერო-ქიმიური თავდაცვის წესების შესწავლაში; ხელი შეუწყონ მშრომელთა მთელი ძალღონის მობილიზაციას კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის, სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვადაზე ადრე ჩაბარებისათვის.

27. პოლიტგანდაწესებულებებმა ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკაში დანერგონ მასობრივი მუშაობის ისეთი მოქნილი ფორმები, როგორიც არის ხმა-მაღალი კითხვა, საუბრები, ლექციები, აგიტბრიგადები, კითხვა-პასუხის საღამოები, ბიულეტენები, საბრძოლო ფურცლები, მოძრავი ბიბლიოთეკები, წიგნის დამტარებლობა და სხვ. ამასთანავე ყველა პოლიტგანდაწესებულებაში მოეწყოს გამოფენები იმ მითითებათა შესაბამისად, რომელიც განსახკომის მიერ არის მიღებული დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით.

28. მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც პოლიტგანდაწესებულებებს ენიჭებათ თანამედროვე პირობებში, ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობის შეზღუდვას, დაფინანსების შეკვეცას, ბინების შევიწროებას და სხვ. თათბირი აუცილებლად თვლის, — განათლების განყოფილებათა გამგეებმა გაატარონ საჭირო ღონისძიებანი პოლიტგანდაწესებულებათა ნორმალური მუშაობის პირობებით უზრუნველსაყოფად (შენობის რემონტი, ღუმელების შეკეთება, სათბობით მომარაგება და სხვ.).

თათბირი, ამასთანავე, საჭიროდ თვლის პოლიტგანდაწესებულებათა შენობების განსაკუთრებულ, სპეციალურ დანიშნულებით დაკავების შემთხვევაში, მუშაობა დროებით გადატანილ იქნას საღამოს საათებში და მოთავსებულ იქნას სკოლის, კოლმეურნეობის გამგეობის, სასოფლო საბჭოს და სხვ. შენობებში.

სკოლის დირექტორები, გამგეები, სასწავლო ნაწილის გამგეები, მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები და განათლების ფრონტის მთელი არმია, აღზრდილი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ, თავის ყოველდღიურ მუშაობაში ანგარიშს უნდა აძლევდეს თავის თავს, თუ რა გააკეთა მან დიადი სოციალისტური სამშობლოს დაცვისა და ფაშიზმის — კაცობრიობის ამ უსაზიზღრესი და უბოროტესი მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის და თავისი თავდადებული, უმწიკლო პატრიოტული შრომით ასრულებდეს წმინდათა-წმინდა მოვალეობას სოციალისტურ სამშობლოსადმი, ხალხისადმი, პარტიისა და ხელისუფლებისადმი, მსოფლიო მშრომელთა დიდი ბელადისადმი — ამხანაგ **სტალინისადმი.**

მთელი ჩვენი ძალები — მტრის გასანადგურებლად!

ფაშისტური ბრბოები განადგურებული იქნება!

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა გეოგრაფიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1941 წ. 31 ოქტომბერი**

კოლეგია აღნიშნავს, რომ ამჟამად, სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად, საქართველოს სსრ მთელი რიგი სკოლების მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში დგას საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა; მრავალ სკოლაში გაძლიერდა თვალსაჩინოების გამოყენება და პრაქტიკული მუშაობა; გეოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამამულო ომის ამსახველი წერილების და ნარკვევების დაკავშირებას გეოგრაფიის პროგრამულ მასალასთან; ხშირად ეწყობა ექსკურსიები, მეტი ყურადღება ექცევა თვალზომითი აგეგმვის საკითხებს, ვიდრე ამას წინა წლებში ჰქონდა ადგილი და სხვ. (ტყიბულის II საშ. სკ. — მასწ. თ. ქაჯაია, კასპის რუს. საშ. სკ. — მასწ. გ. ჯანაშვილი, ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა — მასწავლებელი ქ. ზაალიშვილი, მე-10 საშუალო სკოლა—მასწავლებლები მ. ჯორჯაძე და ქ. ნახუცრიშვილი, მე-80 საშუალო სკოლა — მასწ. აგარონიანი და ალიშანიანი, მე-20 საშუალო სკოლა — მასწავ. კარსანიძე და ბახტაძე, მე-42 საშ. სკოლა მასწ. ქუთათელაძე და დაშკევიჩი, 65-ე საშ. სკოლა—მასწ. ხრჟანოვსკი, 106-ე საშ. სკ.— მასწ. მ. გეგეჭკორი და სხვ.).

ამასთან ერთად კოლეგია მიუთითებს, რომ სამამულო ომის პირობებში გეოგრაფიის კარგად სწავლებისათვის სკოლებს წელს სათანადო პირობები შეექმნა: წინა წლებში ქართულ ენაზე გამოცემულ სასწავლო გეოგრაფიულ რუკებსა და გლობუსებს დაემატა სსრ კავშირის, აფრიკის, ჩრდილო ამერიკის, მსოფლიოს ბუნებრივი ზონებისა და ნახევარსფეროების პოლიტიკური ახალი ქართული სასწავლო რუკები; გამოიცა აგრეთვე სსრ კავშირის ფიზიკური და ბუნებრივი ზონების სამაგიდო ქართული რუკები; გამოიცა მე-4, მე-5 და მე-7 კლასების სახელმძღვანელოები, მე-4 კლასის სახელმძღვანელოს წელს დართული აქვს ფერადებით შესრულებული ორი რუკა; დროულად დაიგზავნა ადგილებზე დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პროგრამები; მასწავლებელთა კადრი შეივსო უმაღლესი განათლების მქონე გეოგრაფებით; სკოლებს დაეგზავნა გეოგრაფიული ხელსაწყოების რამდენიმე კომპლექტი და სხვ.

მაგრამ საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ეს შესაძლებლობანი ვერ გამოიყენა და ჯერ კიდევ ვერ შესძლო მთლიანად გარდაექმნა მუშაობა სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად. ზოგიერთმა მასწავლებელმა შეანელა ყურადღება თვალსაჩინო სწავლებისა და პრაქტიკული სავარჯიშოებისადმი (თბილისის 32-ე საშ. სკოლა, ქუთაისის მე-3 — საშუალო სკოლის რუსული სექტორი, ქვემოგომის ა/ს საშ. სკოლა, ტყიბულის I საშ. სკოლა). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სკოლას დღემდე არა აქვს შეძენილი უახლესი გეოგრაფიული რუკები და საჭირო ხელსაწყოები (თბილისის 32-ე სკოლა).

**კოლეგია ადგენს:**

1. გეოგრაფიის პროგრამული კურსის სამხედრო-თავდაცვით ამოცანებთან დაკავშირებისა და მოსწავლეებში სამხედრო ცოდნისა და ჩვევების აღზრდისა და განმტკიცების მიზნით ცალკე კლასების მიხედვით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1) მე-5 კლასში: ა) თემას „გეგმა და რუკა“, რომელსაც დღემდე 8 საათი ჰქონდა დათმობილი, დაეთმოს 16 საათი. დამატებითი 8 საათი მოაკლდეს — ოთხი საათი თემას „ლანდშაფტური ზონები“ და 4 საათი წლიურ განმეორებას. დამატებითი რვა საათიანი მუშაობა ჩატარდეს მეოთხე მეოთხედში ამ თემის შემდეგი საკითხების გასაღრმავებლად: გარემოში ორიენტირება კომპასის, შუადღის ჩრდილის, მთვარის ფაზების, პოლარული ვარსკვლავის, უბის საათის, მცენარეების და სხვა ნიშნების მიხედვით; სკოლის კარმიდამოში ადგილის აგეგმვა —

პლანშეტისა და სავიზირო სახაზავის მომარჯვება, პლანშეტის გაგნება, საკუთარი ნაბიჯის საშუალო სიდიდის გამორკვევა, დგომის წერტილიდან საგნისაკენ მიმართულების აღება და მისი აღნიშვნა, დგომის წერტილიდან საგნამდე მანძილის გამორკვევა და მისი აღნიშვნა შერჩეული მასშტაბის მიხედვით; გეგმისა და რუკის კოპირებაში გაწაფვა; გეგმისა და რუკის შედარება სინამდვილესთან.

ბ) ამავე კლასში, საათების დაუმატებლად, მასწავლებლებმა შემდეგნაირად ჩააქსოვონ ცალკეულ თემებში სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობის საკითხები: თემის — „დედამიწის ზედაპირის ფორმების“ შესწავლისას აუცილებლად იქნას მხედველობაში მიღებული ადგილობრივი გარემოს ზედაპირის ფორმები: გაშუქდეს საკითხი რელიეფის მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის თავდაცვის საქმეში; გააცნოს მოწაფეებს რელიეფის გამოსახვის წესები ტოპოგრაფიულ რუკაზე — ჰორიზონტალები, დაშტრიხვა, აღნიშვნანი, სასწავლო გეოგრაფიულ რუკაზე — ფენოვანი შეფერადება. ამასთან დაკავშირებით შესრულებულ იქნას შემდეგი სავარჯიშოები: მოწაფემ რუკის მიხედვით განსაზღვროს წერტილთა სიმაღლეები და სხვაობა მათ შორის, რელიეფის დახრილობა, ააგოს რელიეფის პროფილები რუკის მიხედვით სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, ბათომიდან პირდაპირი ხაზით ალაზნის ველამდე, ქ. თბილისიდან ქ. ორჯონიკიძემდე და ა. შ.

გ) თემის — „წყალი დედამიწაზე“ შესწავლისას მაგალითებისათვის გამოყენებულ იქნას ადგილობრივი მდინარეები და ტბები, გაშუქდეს საკითხი მდინარეების მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის თავდაცვის საქმეში; მოწაფემ კონტურულ რუკაზე გაატაროს წყალგამყოფთა ხაზები, გამოჰყოს მდინარეთა აუზების ფართობები; შესწავლილ იქნას მახლობელი პატარა მდინარის სიგანისა და სიღრმის გაზომვის და დინის სისწრაფის გამორკვევის უმარტივესი წესები.

დ) თემის — „ატმოსფეროს“ შესწავლისას შერჩეულ იქნას სამხედრო მნიშვნელობის საკითხები ამინდის შესახებ და გაშუქდეს საკითხი სამხედრო მოქმედებისათვის ამინდის ხელსაყრელი და ხელშემშლელი პირობების შესახებ; სკოლა დაუკავშირდეს ადგილობრივ მეტეოროლოგიურ სადგურს და ამინდის ბიუროს იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა მიიღონ პრაქტიკული ჩვევები ტემპერატურების გაზომვისა და ნალექთა რაოდენობის, ქარის მიმართულებისა და სისწრაფის გამორკვევის საქმეში.

2) მე-7 და მე-9 კლასებში, საათების დაუმატებლად, მეოთხე მეოთხედში ჩატარდეს შვიდ-შვიდ საათიანი მუშაობა თვალზომითი აგეგმვისათვის სკოლის კარმიდამოში, რომლის დროსაც ყურადღება მიექცეს პლანშეტის, სავიზირო სახაზავის და კომპასის მომარჯვების ცოდნას, საკუთარი ნაბიჯის საშუალო სიდიდის გამორკვევას, დგომის წერტილიდან საგნისაკენ მიმართულების აღებას, დგომის წერტილიდან საგნამდე მანძილის გამორკვევას და მის აღნიშვნას შერჩეული მასშტაბის მიხედვით.

3) სკოლის ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყოს გეოგრაფიისა და სამხედრო საქმის მასწავლებლების შეთანხმებული მუშაობა საერთოდ და კერძოდ საპროგრამო მასალის იმ ნაწილში, რომელიც ეხება მასშტაბებს, ადგილის აგეგმვას და სამხედრო ტოპოგრაფიული რუკის კითხვის უნარის გამომუშავებას მოსწავლეებში.

4) მე-6 და მე-9 კლასებში კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია შესწავლილ იქნას თანამედროვე საერთაშორისო ვითარებასთან შეფარდებით. მოსწავლეები კარგად იქნენ დაუფლებული მსოფლიო ფიზიკური და პოლიტიკური რუკის წაკითხვას. ევროპის ქვეყნების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენს თანამებრძოლ სახელმწიფოებს (დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი, იუგოსლავია, პოლონეთი). საპროგრამო მასალის გადმოცემის დროს მასწავლებელმა ფართოდ დაახასიათოს თავისუფლების მოყვარულ ხალხთა ბრძოლა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ფაშისტური მონობის წინააღმდეგ. მასწავლებელმა მოუთხროს მოსწავლეებს

მშრომელთა აუტანელი მდგომარეობის შესახებ გერმანიასა და იტალიაში, აგრეთვე ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. პოლონეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების მაგალითებზე მასწავლებლებმა დაანახონ მოსწავლეებს, თუ როგორ ჩაგრავს ეკონომიურად ფაშიზმი მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს, ანგრევს ოკუპირებულ ქვეყნების მეურნეობას, ცდილობს ფიზიკურად მოსპოს ეს ისტორიული ხალხები. ამასთან დაკავშირებით, უნდა გამოვლინდეს ფაშისტური წყობილების მთელი სიდამპლე და განწირულება. კონკრეტულ გეოგრაფიულ მასალაზე მასწავლებელმა აჩვენოს ფაშისტური ბლოკის ქვეყნების და განსაკუთრებით გერმანიის ეკონომიკის სუსტი მხარეები, ბუნებრივი და ადამიანთა რესურსების შეზღუდულობა და ფაშიზმის დამარცხების გარდაუვალობა მათ მიერ წამოწყებულ სისხლიან ომში. ამასთან დაპირისპირებით, მოსწავლეებმა ნათლად უნდა შეიგნონ ანტიფაშისტური სახელმწიფოების ბლოკის სიმძლავრე, მისი ულეველი რესურსები. ფაშისტური თავდამსხმელი ქვეყნების (გერმანიის, იტალიის) შესწავლის დროს ყურადღება გამახვილდეს სამხედრო გეოგრაფიის შემდეგ ელემენტებზე: გერმანიისა და იტალიის საგარეო პოლიტიკური ვითარება და მისი სუსტი მხარეები; მოსახლეობის ზრდის ხარისხი — მოზარდი ასაკების სიმცირე; სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი ურთიერთობანი; ნაციონალური და კლასობრივი პოლიტიკა; ფაშისტური ანტიმეცნიერული რასიული თეორია; ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზები სამხედრო მრეწველობისათვის; ურთიერთობა საგარეო ბაზრებთან ომის პირობებში — საგარეო ბაზრებისაგან მოწყვეტა; საერთო დასკვნები ფაშიზმის დამარცხების აუცილებლობის შესახებ.

5) მე-7—8 კლასებში: ა) თემის — „ტერიტორია და საზღვრები“ — შესწავლისას გაშუქდეს სსრკ მდებარეობა ოკეანეებისა, ზღვებისა და მსოფლიო გზების მიმართ, ჩვენი ქვეყნის ბლოკადის შეუძლებლობა. ტერიტორიის სიდიდე და მისი მნიშვნელობა ქვეყნის დაცვისათვის, საზღვრების გავრცელება და ხასიათი — საზღვრის ღია და დაფარული ადგილები, საზღვრის დაშორება ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებიდან და ამ ცენტრების უშიშროების ხარისხი.

ბ) თემაში — „სსრკ წიაღის სიმდიდრენი“ — გამოვლინდეს ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე ყოველგვარი მთამადნეულით; ხაზი გაესვას დიდ მუშაობას მთამადნეულის ძიებისა და ათვისებისათვის, რომელიც ჩატარდა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დროს, აქვე მითითებულ იქნას ქვეყნის სრულ უზრუნველყოფაზე მშობლიური სტრატეგიული ნედლეულით.

გ) თემაში — „სსრკ მოსახლეობა“—გაშუქდეს შემდეგი საკითხები: მოსახლეობა, როგორც მუშახელისა და არმიის დაკომპლექტების წყარო; სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგი ასაკების დიდი რაოდენობა; ჩვენი მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპები, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანაში სჭარბობს ნორჩი ასაკები. საბჭოთა კავშირის ადამიანთა ულეველი რესურსები, როგორც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ერთერთი გადამწყვეტი უპირატესობა; ძვრანი მოსახლეობის განლაგებაში ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებასთან და ახალი ქალაქების ზრდასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში); სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ურთიერთ დახმარება, მათი შეკავშირების ურღვევი სიმტკიცე.

დ) სამეურნეო ხასიათის თემების შესწავლისას მკაფიოდ გაირკვეს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი გეოგრაფია, აღმოსავლეთ რაიონებში ახალი სამრეწველო ცენტრების შექმნა; ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა საგარეო ბაზრებისაგან; საგარეო ბაზრებთან ურთიერთობა ომის პირობებში; ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზები სამხედრო მრეწველობისათვის; სახელმწიფოს უზრუნველყოფა საწვავი მასალით; ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტი და მისი გამოყენების ფართო შესაძლებლობანი ომის პირობებში.

2. ყველა სკოლასთან, შესაძლებლობის ფარგლებში, მოეწყოს უმარტივესი გეოგრაფიული მოედანი, სადაც გაიმართება გნომონი, მზის საათი, ფლუგერი, წვიმსაზომი, თერმომეტრი და მორიგეობით იწარმოებს მათზე მოსწავლეთა დაკვირვებანი.

3. სამამულო ომთან დაკავშირებით გეოგრაფიის სწავლების წინაშე დასმული ამოცანების საუკეთესოდ გადაწყვეტის მიზნით, მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებას, გაძლიერდეს პრაქტიკული ვარჯიშობანი გეოგრაფიის გაკვეთილებზე. მოეთხოვოს საგნის მასწავლებელს სპეციალური რვეულის შემოღება პრაქტიკულ სავარჯიშოთა შესრულებისათვის ცალკე კლასების მიხედვით.

4. დაევალოს სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების გეოგრაფიის კაბინეტებს ამ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით შეადგინონ და მასწავლებლებამდე დაიყვანონ სათანადო მეთოდური მითითებანი გეოგრაფიის სწავლების შესახებ. ამასთან ერთად, უზრუნველყოფილ იქნას დამხმარე წიგნების გამოცემა მასწავლებელთათვის გეოგრაფიის სწავლების საკითხებზე.

5. უზრუნველყოფილ იქნას უმოკლეს ხანში გეოგრაფიის სახელმძღვანელოების გამოცემა; პირველ რიგში გამოიცეს: მე-7 კლასისათვის სსრკ სარაიონო [illegible] და მე-6, 8 და მე-9 კლასების სახელმძღვანელოები.

6. დაისვას საკითხი კარტოგრაფიული ფაბრიკების წინაშე სასწავლო რუკების და ატლასების ქართულ ენაზე გამოცემის საქმის დაჩქარების შესახებ.

კოლეგია ავალებს განათლების განყოფილებათა გამგეებს, სკოლების დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებსა და გეოგრაფიის მასწავლებლებს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი განახორციელონ გეოგრაფიის მთელი სასკოლო კურსის მოსწავლეთა მიერ ღრმა და მტკიცედ შესწავლის საფუძველზე, რადგან სამხედრო თავდაცვითი ხასიათის საკითხების საუკეთესოდ დაუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ეს საკითხები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სასწავლო დისციპლინის მთელი სისტემატიკური კურსის შესწავლასთან.

**კოლეგიის თავმჯდომარე — საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი: გ. ქიქნაძე**

**კოლეგიის მდივანი ქ. ხინთიბიძე**

---

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში.

**1941 წ. 1 ნოემბერი.**

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამამულო ომის პირობებთან დაკავშირებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ზოგიერთმა სკოლამ საგრძნობი წარმატებები მოიპოვა. პროგრამულ კურსს მრავალ სკოლაში მოხერხებულად უკავშირებენ სამამულო ომის ეპიზოდებიდან აღებულ გმირობის მაგალითებს და განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდას. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად იქნა ამაღლებული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საერთო ხარისხი. ბევრი სკოლის მასწავლებელი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს იმისათვის, რომ გადაჭრით იქნეს გაუმჯობესებული მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველება, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავება: ქ. თბილისის მე-18 (მასწ. ბ. ვარდიაშვილი და დ. ჭაბუკიანი) და 27-ე (მასწ. ბ. ინწკირველი) საშუალო სკოლებში, ცხაკაიას პედსასწავლებელში (მასწ. ო. მგალობლიშვი-

ლი), თბილისის 35-ე საშუალო (მასწ. მ. აბაშმაძე) და სხვა სკოლები.

მაგრამ ზოგიერთმა სკოლამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად. არის ისეთი სკოლები, რომელთა მასწავლებლები არა თუ ვერ უკავშირებენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს სამამულო ომის ამოცანებს, არამედ არ იცავენ კურსის თანამიმდევრულად გავლის პრინციპსაც და ხშირად არღვევენ სწავლების ელემენტარულ კანონებსა და წესებს. გორის რაიონის ქახვრელისა და ხურვალეთის არასრულ საშუალო და ტირძნისის საშუალო სკოლებში (მასწ. ვ. ხათაშვილი, გ. ქარელი, გ. კასრაძე), გაკვეთილები ტარდება მოუმზადებლად, წლიური სამუშაო გეგმები არ არის შედგენილი პროგრამის მიხედვით, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდას, გრამატიკული სავარჯიშოები არ უკავშირდება პროგრამულ მასალას, სწავლების დროს არ არის გამოყენებული სათანადო დიდაქტიკური მასალები — პლაკატები, სქემები, სავარჯიშო ტაბულები, სურათები და სხვ. კვლავ არადამაკმაყოფილებლად დგას წერითი მუშაობის საქმე; მაგალითად, უფლისციხის არასრული საშუალო სკოლის პირველ კლასში (მასწ. სანადირაძე) დღემდე არცერთხელ არ არის ჩატარებული საკლასო წერა, ხოლო ტირძნისის საშუალო სკოლის მე-5 — მე-10 კლასებში დღემდე მხოლოდ ორჯერ არის ჩატარებული წერითი მუშაობა და არცერთი ნაშრომთაგანი არ არის გასწორებული მასწავლებლის მიერ.

### კოლეგია ადგენს:

მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, პროგრამით გათვალისწინებულ მასალის საუკეთესოდ შესწავლის საფუძველზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს: საბჭოთა პატრიოტიზმის, გმირობისა და მამაცობის, მტრისადმი სიძულვილისა და შეურიგებლობის გრძნობების პირდაპირობისა, სიძნელეთა დაძლევის და სიმართლისათვის თავდადების უნარისა და ჩვევების აღზრდას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ მიზნით ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

**1. I—IV კლ.**

ა) სამამულო ომის ამსახველი სურათების ზეპირად აღწერა და მათი მიხედვით პატარა მოთხრობების შედგენა;

ბ) მხატვრული ნაწარმოებიდან სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის სიტყვების ამოწერა და ახსნა-განმარტება;

გ) სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ცნებებიდან შედგენილი წინადადებების დაფიდან და წიგნიდან გადმოწერა;

დ) თავისუფალი და შემოქმედებითი კარნახისათვის სამამულო ომის თემაზე არსებული მხატვრული ნაწარმოებებიდან სათანადო ადგილების შერჩევა და გამოყენება;

ე) სამამულო ომში ბავშვების გმირობისა და თავდადების ამსახველი მხატვრული ეპიზოდების კითხვა და თხრობა;

ვ) კოლექტიური კითხვა და გარჩევა ისეთი ლექსებისა, მოთხრობებისა, ეპიზოდებისა, სადაც ასახულია საზღვაო ფლოტის ტანკისტების, მფრინავების, და ჩვენი არმიის სხვა სახის ნაწილების წითელარმიელების გმირული ბრძოლები, ვაჟკაცობა და შეუპოვრობა.

**2. V—VII კლ.**

ა) მხატვრული ნაწარმოების ტექსტიდან სამხედრო ტერმინებისა და გამოთქმების გამოყოფა და მათზე ვარჯიში, ამ ტერმინების მნიშვნელობის სწორად ათვისების მიზნით;

ბ) ისეთი წინადადებების შერჩევა-შედგენა, სადაც გამოყენებულია სამხედრო ტერმინები და სამხედრო საჭურველის აღმნიშვნელი სიტყვები: კრეისერი, ნაღმოსანი, წყალქვეშა ნავი, საზენიტო ბატარეა, ტანკები, ავიაცია, სანგრები, ალალი, ადმირალი, კონტრადმირალი, გენერალი და სხვ.;

გ) შემოქმედებითი ხასიათის თხზულება-

თა წერა სამამულო ომის შესახებ წაკითხულ მხატვრული ლიტერატურის მიხედვით და იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელიც ფრონტის უზრუნველსაყოფად წარმოებს ჩვენს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოებებში.

დ) სამამულო ომის შესახებ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიათა მიხედვით მოხსენებისათვის თეზისების შედგენა და სხვ.

ე) სამამულო ომის თემაზე საბჭოთა მწერლების მიერ დაწერილ ლექსებიდან და მოთხრობებიდან სათანადო ადგილების ამოწერა და სავარჯიშოების შედგენა გრამატიკის კურსის მიხედვით.

**3. V—X კლასებში მშობლიური ლიტერატურის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს:**

ა) კლასიკოსების: შ. რუსთაველის დ. გურამიშვილის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის და სხვათა შემოქმედების შესწავლის დროს მოქმედ პირთა გმირობის, ხასიათის სიმტკიცის, სამშობლოსათვის თავდადების შესახებ მოსწავლეთათვის სათანადო განმარტებების მიცემას და შედარებებს სამამულო ომის სახელოვანი გმირების საბრძოლო ეპიზოდებიდან; მაგალითად, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების — ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის ვაჟკაცობის, გმირობის, ხასიათის სიმტკიცის დახასიათებასა და აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ გმირების — თორნიკე, ორბელიძის და სხვ. სამშობლოსათვის თავდადების შესახებ სათანადო ადგილების გარჩევისა და შესწავლის დროს პარალელების სახით მოტანილ იქნეს მაგალითები წითელ არმიის გმირ მებრძოლთა ვაჟკაცობისა და თავგანწირვის შესახებ გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ბ) ასევე, ქართველი კლასიკოსი მწერლების ისეთ თხზულებათა შესწავლისას, რომლებშიაც ასახულია ქალების თავდადება სამშობლოსათვის (ნ. ბარათაშვილი. — „ბედი ქართლისა“, ილია ჭავჭავაძე—„დედა და შვილი“, „ქართვლის დედას“, აკაკი წერეთელი — „ბაში-აჩუკი“, ვაჟა-ფშაველა — „ბახტრიონი“), სისტემატურად სწ[illegible]საბჭოთა ქვეყნის ქალების, ჩვენი დედებისა და ქალიშვილების თავგანწირული, გმირული ბრძოლის ამსახველი ეპიზოდების თხრობა და გარჩევა;

გ) მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებულ მხატვრული ლიტერატურის გარდა, მასწავლებლებმა მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში — გაზ. „კომუნისტში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნალ „მნათობში“ და სააგიტაციო ფურცლებზე გამოქვეყნებული მოთხრობები, ლექსები, ნარკვევები და წერილები.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კლასგარეშე კითხვას. ამ მიზნით სასკოლო ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნების ფონდიდან ცალკე კლასების მიხედვით მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა შეარჩიოს სამამულო ომის ამსახველი ლიტერატურა, შეადგინოს სათანადო სია, მოაწყოს მკითხველთა კონფერენციები და სხ.

5. დაწყებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში მოეწყოს სამამულო ომის ამსახველი კუთხე პლაკატებით, ლოზუნგებით, საგიტაციო ფურცლებით, სამხედროთავდაცვითი და მხატვრული ლიტერატურით, ხალხთა ბელადებისა და საბჭოთა კავშირის გმირების პორტრეტებით, საბრძოლო სურათებით, მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალებით და სხვ.

6. საგნობრივმა კომისიებმა უზრუნველყონ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში მტკიცე გეგმიანობის დაცვა, ღია გაკვეთილების მოწყობა, გამოცდილებათა გაზიარების მიზნით გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთ დასწრება. პერიოდულად მოისმინონ ინფორმაციები საგნობრივი კომისიის თითოეულ წევრისა სამამულო ომის პირობებში მშობლიურ ენისა და ლიტერატურის სწავლებაში მიღწეულ წარმატებების შესახებ და მომავალი

მუშაობისათვის დასახონ შესაფერი ღონისძიებანი.

7. საშუალო სკოლებში, სადაც ეს შესაძლებელია, მოეწყოს სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა-საღამოები შემდეგი პროგრამით: სამამულო ომის თემაზე არსებული ლექსების, მოთხრობების, ეპიზოდების მხატვრული კითხვა, ცოცხალი სურათის მოწყობა, მომღერალთა გუნდის გამოსვლა გმირული და ლაშქრული სიმღერებით და სხვ.

8. სკოლის დირექციამ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად გარდაქმნის საქმეში. ამ მიზნით:

ა) სისტემატურად დაესწროს მასწავლებელს გაკვეთილზე და მისცეს მას სათანადო მითითებანი;

ბ) პერიოდულად შემოწმდეს მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები თემატიკისა და შინაარსის მიხედვით;

გ) პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგას სასკოლო ბიბლიოთეკის სამამულო ომის ამსახველი ლიტერატურით შევსებისათვის.

9. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა გამოსცეს შემდეგი სახის მეთოდური წერილები:

ა) მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება საშუალო სკოლაში სამამულო ომის პირობებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა მშობლიური ენის გაკვეთილებზე დაწყებით სკოლაში;

გ) საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე საშუალო სკოლის. მე-5—10 კლასებში.

10. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა კვალიფიციური ძალების ადგილებზე მივლინებით უზრუნველყოს მასწავლებლებისადმი პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გარდაქმნის საქმეში.

11. განათლების განყოფილებებმა და პედაგოგიურმა კაბინეტებმა სისტემატურად შეამოწმონ საშუალო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება სამამულო ომის პირობებში და მოაწყონ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

12. ეს დადგენილება განხილულ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე ა/წ 25 ნოემბრამდე.

**კოლეგიის თავმჯდომარე — საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე**

**კოლეგიის მდივანი ქ. ხინთიბიძე**

---

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა — მათემატიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებთან შეფარდებით.

**1941 წ. 31 ოქტომბერი.**

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამამულო ომის პირობებთან დაკავშირებით მათემატიკის სწავლების საქმეში ზოგიერთმა სკოლამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა მუშაობა. გაუმჯობესდა მთელ და წილად რიცხვებზე მოქმედებათა რაციონალურად წარმოება, პროპორციის თეორიის, პროცენტების, ყველა სახის ამოცანების ამოხსნის, ფიგურათა მსგავსების, მართკუთხასა და ირიბკუთხა სამკუთხედების ელემენტებს შორის დამოკიდებულების, მათემატიკურ გამონაგარიშებათა სწავლებისა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საქმე (თბილისის მე-18 საშუალო სკოლა—მასწ. ყაზახაშვილი, და აბდუ-

შელიშვილი, მე-15 საშუალო სკოლა—მასწ. პარკაძე, მე-43 საშუალო სკოლა, — მასწ. სალიბეგიანი და ასატუროვი, ზუგდიდის რუსული საშუალო სკოლა, — მასწ. ბუკია, ცხაკაია და ვაშაკიძე). აღნიშნული სკოლების მასწავლებლები მოხერხებულად უკავშირებენ მათემატიკურ დებულებების შესწავლას ქვეყნის თავდაცვის ამოცანებს, მაგალითებისა და ამოცანების შერჩევას აწარმოებენ სამხედრო ტექნიკიდან, ეკონომიკიდან და სხვ.

მიუხედავად ამისა, მათემატიკის სწავლების საქმეში მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო მთლიანად გარდაექმნა თავისი მუშაობა სამამულო ომის პირობებთან შეფარდებით, რის გამოც ზოგ სკოლაში მათემატიკის სწავლების საქმეში მიმდინარე სასწავლო წელსაც იმ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი, რომლებიც შემჩნეული იყო გასულ წელს, — ზეპირი ანგარიშის სუსტი ცოდნა (გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო სკოლა მასწავ. — ვარაზაშვილი), მოქმედებების თანამიმდევრობით შესრულების უცოდინარობა (სოხუმის მე-13 საშუალო სკოლა — მასწ. გუგუნავა), სუსტი ჩვევები მთელ და წილად რიცხვებზე მოქმედებებში (სოხუმის მე-13 საშუალო სკოლა—მასწავ. კვარაცხელია), ალგებრულ იგივურ გარდაქმნებში და განტოლებათა ამოხსნაში არასაკმარისი სიმტკიცე (ქ. გურჯაანის საშუალო სკოლა — მასწავ. გ. ანტონოვი), ლოგარითმებზე ოპერაციებისათვის არა საკმარისი მომზადება და ზოგიერთი ფორმალიზმი ტრიგონომეტრიის სწავლების საქმეში (სოხუმის მოზრდილთა საშუალო სკოლა — მასწავ. ჭავჭანიძე) და სხვ.

კოლეგია ადგენს:

1. არითმეტიკის კურსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზეპირი ანგარიშის ჩვევების განვითარებას. გაძლიერებულ იქნას ვარჯიში ზეპირი გამოთვლების ზოგად ხერხებზე. ვარჯიშობა ზეპირ გამოთვლებზე სწარმოებდეს არა მარტო მთელ რიცხვებზე, არამედ წილადებზე და პროცენტებზედაც. ზეპირ ანგარიშს გაკვეთილებზე ხშირად დაეთმოს არანაკლებ 8—10 მინუტისა.

2. უფრო მეტი დრო დაეთმოს, ვიდრე ეს პრაქტიკაშია, ამოცანების ამოხსნას [illegible] არითმეტიკასა, ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში. ამოცანების ამოხსნა სწარმოებდეს სისტემატურად, ცალკე თემების, განყოფილებების, დებულებების და თეორემების შესწავლასთან დაკავშირებით.

3. ამოცანების შერჩევისას, როგორც არითმეტიკიდან, ისე ალგებრიდან, გეომეტრიიდან და ტრიგონომეტრიიდან მოსწავლეებს მიეცეს ისეთი ტექსტიანი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს სამშობლოს თავდაცვასთან, ეკონომიკასთან, ტექნიკასთან, ასურათებს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას მტერთან და მოგვითხრობს მის შესანიშნავ შრომაზე გამარჯვებისათვის.

4. სამხედრო ხასიათის ამოცანები აღებულ იქნას: ტყვიისა და ყუმბარის ტრაექტორიის, ყუმბარისა და ნამსხვრევების მიერ მოქმედების ფართობის, გასროლისა და ვარდნის კუთხეების და სხვათა გამოანგარიშებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი ამოცანების შედგენას და ამოხსნას, რომლებიც გააცნობენ მოსწავლეებს ამათუიმ სახის იარაღს და რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაადვილებენ წითელარმიის მეთაურთა და მებრძოლთა მომზადებას.

5. ფართო ადგილი დაეთმოს სხვადასხვა ცხრილების პრაქტიკულად გამოყენებას (გამრავლება, ახარისხება, ამოფესვა, პროცენტები, წრეხაზის სიგრძე და წრის ფართობი, ნატურალურ ტრიგონომეტრიული და ლოგარითმული ცხრილები). ლოგარითმული სახაზავის შესწავლა და მისი გამოყენება სხვადასხვა მოქმედებების დროს (გამრავლება, გაყოფა, ახარისხება და კვადრატული ამოფესვა) წარმოებული იქნეს იმგვარად, რომ მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შეეძლოთ გამოანგარიშებანი ლოგარითმული სახაზავის საშუალებით.

6. საფუძვლიანი მუშაობა იქნას ჩატარებული მოსწავლეებში გაზომვის ცოდნა-ჩვე-

ვების მისაღებად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სიგრძის საზომი იარაღების და პრაქტიკული ხელსაწყოების (რულეტი, ჯაჭვი, მკუთხავი, თარაზო, ტრანსპორტირი, განივი მასშტაბი, პროპორციული ფარგალი, ეკერი, ასტროლიაბი, სიმაღლმზომი, თეოდოლიტი და სხვ.) გაცნობა-გამოყენებას, მიწაზე სწორი ხაზის გავლებას, ხაზობრივი მასშტაბის გამოყენებას, სამხედრო რუკების მასშტაბს, მანძილის თვალზომით და ნაბიჯებით გაზომვას, ვერტიკალური საგნის სიმაღლის გაზომვას, როდესაც მის ძირთან მისვლა შეიძლება და როდესაც არ შეიძლება, ორ წერტილს შორის მანძილის გაზომვას, როდესაც ერთი მათგანი მიუვალია და როდესაც ორივე მიუვალია, ადგილის დახრილობის კუთხის გაზომვა-გამოანგარიშებას, მრუდხაზოვანი კონტურის სიგრძის და მრუდხაზოვანი ნაკვეთის ფართობის გამოანგარიშებას ჩახაზული ტეხილი ხაზის საშუალებით, დამიზნების მანძილის გაგებას „მეათასედების“ საშუალებით კუთხის გაზომვასთან დაკავშირებით და სხვ.

7. სკოლის დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და მათემატიკის მასწავლებლებმა ერთი კვირის ვადაში გადასინჯონ მათემატიკის სამუშაო გეგმები, აღნუსხონ სისტემატური კურსის ის საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სამშობლოს დაცვის საქმეში და გაამახვილონ ამ საკითხებზე ყურადღება.

8. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამართველომ შეადგინოს და დაუგზავნოს განათლების განყოფილებებსა და პედაგოგიური კაბინეტებს მეთოდური წერილი „სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ამოცანები და მათი ამოხსნის ნიმუშები“.

9. განათლების განყოფილებებმა და პედაგოგიურმა კაბინეტებმა სისტემატურად შეისწავლონ სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა სამამულო ომთან შეფარდებით, როგორც წესი აწარმოონ მოსწავლეთა სამუშაო რვეულების ხშირი გარჩევა-განხილვა და სამხედრო ხასიათის ამოცანების ამოუხსნელობის შემთხვევაში ადგილზე აღმოუჩინონ მასწავლებლებს საჭირო დახმარება.

10. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გამოცდილი პირების ადგილზე მივლინებით კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათემატიკის მასწავლებლებს, პერიოდულად მოაწყონ მათემატიკის მასწავლებელთა სარაიონო თათბირი, სადაც მოსმენილ იქნეს მათემატიკის სწავლების ძირითადი საკითხები სამამულო ომთან დაკავშირებით.

11. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა უზრუნველყოს სამამულო ომთან დაკავშირებით მათემატიკის სწავლების საკითხებზე საჭირო მეთოდური წერილების დამუშავება და გამოცემა.

საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგია აღნიშნავს, რომ მათემატიკის სწავლების სამამულო ომის ამოცანებთან მტკიცედ დაკავშირების ძირითად პირობას უპირველესყოვლისა წარმოადგენს არსებული პროგრამების ღრმად დაუფლება, რომ ქვეყნის თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მტკიცე და სრული მათემატიკის სისტემატიკური კურსის კარგად შესწავლის გარეშე. გამომდინარე აქედან კოლეგია მიუთითებს სკოლის ხელმძღვანელ მუშაკებსა და მასწავლებლებს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი განახორციელონ მოსწავლეთა მიერ მათემატიკის მთელი კურსის ღრმად დაუფლების საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან უშუალოდ ქვეყნის თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოწყვეტა მათემატიკის მთლიანი კურსიდან.

**კოლეგიის თავმჯდომარე — საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი**

**გ. ქიქნაძე**

**კოლეგიის მდივანი ქ. ხინთიბიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПОСТАНОВЛЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ НКПроса ГРУЗИНСКОЙ ССР

**от 31 октября 1941 г.**

## О ПОСТАНОВКЕ ИЗУЧЕНИЯ РУССКОГО ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ В ШКОЛАХ ГРУЗИНСКОЙ ССР В УСЛОВИЯХ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ

Коллегия отмечает, что на основе указаний, данных преподавателям в начале учебного года о перестройке работы по русскому языку и литературе в нерусских школах в связи с Отечественной войной, в ряде школ преподаватели справились с этой задачей.

В отдельных школах районов и гор. Тбилиси учебный год начался с изучения произведений, непосредственно увязанных с воспитательными задачами школы в дни Отечественной войны. Так, в VII кл. грузинских и армянских школ изучили «Песня о Родине» Лебедева-Кумача, «Песня о Родине» Садофьева, в 8 кл. стихотв. Лебедева-Кумача «Капитаны воздушных морей», в 9 кл. стихотв. Лебедева-Кумача «Великая клятва», в X кл. стихотв. Маяковского «Стихи о советском паспорте».

Удачную перестановку в прохождении материала дали препод. Хоперия (Тбил. 30 шк.), Чхенкели (1 шк.). Пройдя стих. Маяковского «Стихи о советском паспорте», они перешли к изучению произведения М. Горького «Песня о Соколе» и хорошо увязали с героикой наших дней. Говоря о смелом Соколе, они приводили конкретные примеры бесстрашных соколов нашей Красной Армии.

Заканчивая работу над стихотворением Маяковского «Возьмем винтовки новые» в 9 кл., преп-ца Испандиарова (80 шк.) целеустремленно переключила внимание учащихся на задачи, стоящие перед ними в условиях Отечественной войны.

В результате проведенной работы, как заключение, учащимися в тетрадях записано:

«Мы должны честно работать на своем посту:

1. Учиться отлично.
2. Овладеть техникой военного дела в совершенстве.
3. Соблюдать строжайшую дисциплину везде и всюду.
4. Проявлять повышенную революционную бдительность».

Преподавательница Маркозова в 5 классе (80 школа) вне программы прошла два стихотворения из газеты «Пионерская правда», увязав их с воспитательной задачей—выработать в детях качества: смелость, дисциплинированность и организованность. Вот одно из этих стихотворений:

«Смелыми Сталин гордится,
Смелого любит народ,
Смелого пуля боится,
Смелого штык не берет». (Сурков).

Проходя в 8 кл. стихотворение Лебедева-Кумача «Капитаны воздушных морей», учащиеся увязывают содержание стихотворения с отважными делами наших героев-летчиков.

С переживаемыми событиями увязывается не только литературный материал, но и грамматический. Так, проходя склонение существительных оконч. на **ия** в 8 кл. преп-ца Алиханова в 72 шк. записывает с учащимися в тетрадях «Красная Армия и Красный Флот самоотверженно бьются за каждую пядь Советской земли (им. п.). Храбрость воинов Красной Армии беспримерна (род. падеж). Мы должны организовать всестороннюю помощь Красной Армии (дат. п.)» и т. д.

Многие преподаватели текст для грамматического упражнения и диктанта подбирают в строгом соответствии с тематикой Отечественной войны. Так, во время изучения однокоренных слов разбирают например, следующее предложение: «Самолеты, на которых ле-

тели герои-летчики, имели прекрасные летные качества», удачные тексты диктантов можно встретить у преподавательницы Чхенкели, Небиеридзе (1 шк.), Агниашвили (20 шк.), Тер-Ованесян, Алихановой (72 шк.), Петросян (Велисцихская средняя школа) и др. Некоторые преподаватели умело увязывают работу по развитию речи с тематикой Отечественной войны. Так, изучая и закрепляя слова при прохождении рассказа «Таня революционерка» в 6 кл., преподавательница Дживанян (80 шк.) записывает с учащимися следующие предложения: «**Наборщик** в типографии набрал воззвание к женщинам всего мира», «Мы познакомились в музее революции с **листовками**», «В поисках врага разведчики ночью **перешарили** все кусты».

(Изучаются подчеркнутые слова).

Перестройка работы отразилась и в планах методкомиссии, которые в центре внимания ставят вопрос об увязке изучаемого материала с текущими событиями.

Составляя план работы литкружка преподаватели многих школ в первую очередь намечают к разработке литературу из героического прошлого и настоящего нашей страны. В план литкружков включены следующие произведения: «Бородино» Лермонтова, «Полтава» Пушкина, «Тарас Бульба» Гоголя, «Как закалялась сталь» Островского и др. (Тбилисская, 1, 18, 80, Велисцихская ср. школа).

Наряду с достижениями в школах в ряде районов имеется явно недопустимое состояние. Преподаватели этих школ не только не перестроили работы с соответствии с условиями Отечественной войны, но вообще неудовлетворительно выполняются программы: слабо работают предметные комиссии при наличии достаточного количества преподавателей (Гурджаанская, Ахутская-Чхороцкуйский р., Поцховская-Цхакаевский р-н—средн. школы), отсутствует общая обязательная плановость в отношении составления годовых планов по схеме НКП (те же школы). Преподаватели означенных школ, в нужных случаях, не дают образцов письма: вместе с этим письменные работы не проводятся в достаточном количестве: в Тирдзнисской школе (Горийский р-н) в VII—X кл. до 20/X проведено по одной работе (препод. Амбрианашвили). В указанных школах не ведется внеклассная работа с учащимися, не налажено внеклассное чтение,—в Гурджаанской средней школе при наличии хорошей библиотеки учащиеся старших классов вообще не заинтересованы чтением соответствующей литературы, углублением знаний и расширением общественно-политического кругозора, большинство учащиеся старших классов Гурджаанской средней школы не снабжены учебниками по русскому языку в достаточном количестве; преподаватели IV класса не обращают внимания на словарную работу, в результате чего ученики слабо подготовлены, не понимают отдельных слов заученного текста (IV класс Гурджаанскй средней школы по тексту «Наша школа» **камень, каменный, железный** и др.), препод. IV класса Велисцихской средней школы (Бекназарова), слабо владея русским языком, мало справляется с работой, не упражняет учащихся в разговорной речи, неудачно формулирует вопросы. Весьма неудовлетворительно поставлено обучение русскому языку в X классе Гурджаанской средней школы, а также в III классе педагогического училища при ней. Подготовка последних говорит о том, что никто не заботится о них, как о будущих преподавателях русского языка III и IV классов начальной школы.

Придавая исключительно важное значение изучению русского языка учащимися нерусских школ Грузинской ССР в связи с военно-оборонными задачами школы, когда знание русского языка необходимо нашей молодежи, будущему бойцу и командиру Красной Армии, коллегия постановляет:

1. Одобрить и рекомендовать методы работы по русскому языку преподавателей вышеуказанных школ гор. Тбилиси, прививающих учащимся прочные знания по русскому языку и воспиты-

вающих в них глубокую и непримиримую ненависть к фашистским извергам.

2. При изучении произведений художественной литературы преподавателям вместе с программным материалом привлекать факты и примеры, сообщаемые с фронта Отечественной войны, факты, отражающие героическую борьбу Советского народа с германским фашизмом, использовать все средства эмоционального воздействия для воспитания горячей любви к своей Родине, готовности с оружием в руках стать на ее защиту.

3. Проводить глубокий анализ литературных произведений, вскрывать их идейную направленность, а не ограничиваться элементарным усвоением содержания, так как это об'единяет уроки литературы и их воспитательные возможности, широко использовав при этом сравнительный метод; из литературных произведений выделить цитаты, созвучные нашей эпохе, которые могут быть взяты как лозунги и заучены учащимися (например: «Отчизне посвятим души прекрасные порывы» из стихотворений Пушкина «К Чаадаеву», «Смерть в краю родном милей, чем слава на чужбине» из стихотв. Майкова «Емшан» и др.

4. Усилить внимание к повышению грамотности уч-ся. В борьбе за грамотность школьника проводить единый орфографический режим. Подбирая текст для диктантов и вообще для занятий по грамматике, принимать во внимание не только насыщенность данного текста соответствующими орфограммами, но и его воспитательное значение, осуществляя увязку преподавания предмета с жизнью. Приучить учащихся писать лозунги, плакаты, адреса на фронт и с фронта.

5. Придавая большое значение повышению общей культуры школьника, усилить внимание к внеклассному чтению: пополнить школьные библиотеки соответствующей литературой, составить список рекомендательных книг для чтения по каждому классу. В списке для внеклассного чтения включить произведения на современную оборонную тематику.

6. В работе литературных кружков уделять должное внимание изучению и популяризации произведений, отражающих романтику и героику настоящего и прошлого советского народа («Война и мир» — Толстого, «Как закалялась сталь» Островского и др.).

7. Развернуть работу методических комиссий в школе, с целью оказания конкретной помощи преподавателям в период Отечественной войны (составление планов уроков, методразработок по увязке программного материала с текущей жизнью, организация открытых уроков, взаимное посещение уроков друг друга в целях обмена опытом).

8. Организовать коллективное посещение учащимися кино и использовать содержание картин для упражнения учащихся в разговорной речи.

9. Научно-исследовательскому институту школ составить и издать методические указания для преподавателей о перестройке работы по русскому языку в условиях Отечественной войны, а Институту усовершенствования учителей оказывать практическую помощь преподавателям в этом направлении.

10. Зав. ОНО Гурджаанского района принять меры об обеспечении IV классов Велисцихской средней школы более подготовленным преподавателем, предоставив Бекназаровой место преподавателя в нач. школе.

# დადგენილება

ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა ბიოლოგიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში.

**1941 წ. 18 ნოემბერი**

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის რიგმა სკოლებმა შესძლეს მუშაობის გარდაქმნა ბიოლოგიაში სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად. ქ. თბილისის მე-23, 33, 106, წილკაანის, მისაქციელისა (მცხეთის რ.), ბორჯომის მე-3, დუშეთის, ჩხირეულის (ჭიათურის რ.) და სხვა საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთა სამუშაო გეგმებში სრულად არის გათვალისწინებული ისეთი საკითხები, რომელთა შესწავლა დიადი სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა აღზრდისათვის აუცილებელია. ამ სკოლების მასწავლებლები ანატომია-ბიოლოგიის კურსის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხების გაშუქებას, — სისხლის დენის შეწყვეტა, სისხლის გადასხმის მნიშვნელობა და გამოყენება, ხელოვნური სუნთქვა, კანის ჰიგიენა და სხვა, — ბოტანიკის კურსის შესწავლისას ფართოდ აცნობენ მოსწავლეებს სამკურნალო მცენარეებს, მათი შეკრებისა და გახმობის წესებს, სათანადო ადგილს უთმობენ ცდების დაყენებას, ექსკურსიებს, სწავლებას მოხერხებულად უკავშირებენ სოფლის მეურნეობის პრაქტიკას და სხვა.

მაგრამ საქართველოს სსრ სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა გარდაქმნა ბიოლოგიის სწავლების საქმე სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად. ქ. თბილისის I, მე-24, 29 საშუალო სკოლების მასწავლებლების (ყანჩაველის, ლებანიძის, ზარიძის) სამუშაო გეგმები არ არის შედგენილი ომის პირობებში სკოლის წინაშე დასმული ამოცანების შესაბამისად, ბორჯომის 1 და მე-2 საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლები დუმბაძე, ხაჩიძე, ჭურაძე სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ ველურ წამლეულ მცენარეთა ბოტანიკის სწავლებისა და ასეთი მცენარეების შეკრებისა და გახმობის საქმეს; მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. ხუნდაძე ანატომია — ფიზიოლოგიის კურსს ვერ უკავშირებს სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებს, ხოლო ამავე სკოლის მასწავლებლის (მესხი) სამუშაო გეგმაში სრულებით არ არის აგეგმილი სამამულო ომის ამოცანებთან ბიოლოგიის კურსის საკითხების დაკავშირება.

**კოლეგია ადგენს:**

1. მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბიოლოგიის პროგრამების კურსით გათვალისწინებული თემების დაკავშირებას სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის საკითხებს. ამ მიზნით, ბიოლოგიის ცალკე დარგების სწავლებისას მოსწავლეებს თეორიულად და პრაქტიკულად გააცნონ სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

I. მე-5, მე-6 კლასებში, ბოტანიკაში, —

ა) თემის **„ყვავილოვან მცენარეთა ზოგადი გაცნობა“** სწავლებისას ტკივილების დამამშვიდებელი, ოფლის მომყვანი, ჭრილობის დაჩირქებისაგან დამცველი, ნერვების აღმგზნები, ძილის მომყვანი, სიმსივნის დამაცხრობელი და სხვა სახის სამკურნალო ნივთიერებების შემცველი მცენარეები, — ტილჭირი, თაგვისარა, ასკილი, ცხვირის სატეხელა, ხაშხაში, მრავალ-ძარღვა—, წამლეული ნივთიერებების განლაგება მათ ძირითად ორგანოებში (ფოთოლში, ფესვში, ღეროში, ყვავილში); ზეთოვან და ეთეროვან ნივთიერებათა შემცველი მცენარეები,— გერანი, ქაფური და სხვ. და მათი გამოყენება სამხედრო ტექნიკაში.

ბ) თემის **„ფოთლის“** შესწავლასთან დაკავშირებით, — წამლეული და ტექნიკური ნივთიერებების გამომუშავების ვადები; წამ-

ლეული და ტექნიკურ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების, მაგალითად, გერანის, ლემას, ლენცოფას, ჩაის, თამბაქოს ფოთლების შეკრებისა და გახმობის წესები. მცენარეთა ფოთლები, როგორც საკვები ზამთრისათვის, დასილოსების წესები:

გ) თემა **„ღერო"** გაცნობასთან დაკავშირებით, ღეროს სახეცვლილებები — ფესურა, ტუბერი და ბოლქვი—სამკურნალო საქმეში გამოსაყენებელი მცენარეების; ხარისძირას, კატაბალახას, რძიანას და სხვა.

დ) თემის **„ყვავილი, ყვავილოვან მცენარეთა გამრავლება"** შესწავლისას სამკურნალო მნიშვნელობის მქონე მცენარეების ყვავილები და ნაყოფები, — გვირილას, ცაცხვის, ვარდის ყვავილები; ქოლოს, მოცვის, ასკილის, ფითრის, ბროწეულის და სხვ. ნაყოფები, ვიტამინი ასკილში, მისი ანტისეპტიკური თვისებები და დიდი მნიშვნელობა ჭრილობის მოშუშებისათვის;

ე) თემის **„ფესვის"** შესწავლისას, — ბელადონას ფესვი, როგორც ატროპინის შემცველი, ბელადონას ფესვის შეკრება და გახმობა;

ვ) თემის **„ყვავილოვან მცენარეთა უმთავრესი ოჯახების"** შესწავლისას — სამკურნალო და ტექნიკურ ნივთიერებათა შემცველი ძირითადი ოჯახების მცენარეთა ფოთლების, ყვავილების, ღეროს, ფესვის ჰერბარიუმების შედგენა-დამზადება;

ზ) თემების **„უდაბლესი და უმაღლესი სპოროვანი მცენარეების"** შესწავლისას — უდაბლესი მცენარეების მიერ გადამდებ სნეულებათა გამოწვევა და ამის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი; სასარგებლო სოკოები, მათი შეკრება და გახმობა (ქამა სოკო, რუსული სოკო, ნიყვი), სამკურნალო მცენარეების: ძირტკბილას, ლიკოპოდიუმისა და შვიტას მნიშვნელობა და მათი შეკრება-გახმობის წესები;

2. **მე-6—7 კლასებში, ზოოლოგიაში,**— ა) იმ არაპარაზიტული და პარაზიტული ცხოველების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები და საშუალებები, რომლებიც საფრთხეში აყენებენ ადამიანის შრომისა და თავდაცვის უნარიანობას (ჰემოსპორიდები, პარაზიტი ჭიები, კოღო ანოფელის, ოთახის ბუზი, მულია, მახრა, მღრღნელები, მტაცებლები და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ბეწვისა და საკვების მომცემი ცხოველების მნიშვნელობა სამამულო ომში და ამ ცხოველების მოვლა-პატრონობა.

გ) საჭაპანო ტრანსპორტის მნიშვნელობა საომარ პირობებში და გამწევი ცხოველების მოვლა-პატრონობა;

3. **მე-8 კლასებში, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში,** — ა) თემის **„კანის"** შესწავლისას, — იპრიტისა და ლუიზიტის შეჭრის საწინააღმდეგო ზომები, დამწვარი კანის მოვლა და წამლობა, კანის ჰიგიენის ძირითადი საკითხები;

ბ) თემის **„ძვალი"**-ს შესწავლისას, — დაზიანებულ და გატეხილი ძვლის აღდგენა-გამომთელების საშუალებანი, ცხოველების ძვლის გამოყენება ფოსფორის მისაღებად;

გ) თემის **„სუნთქვის"** შესწავლისას,— სუნთქვის ჰიგიენა, ხელოვნური სუნთქვა სილვესტრის, შეფერის და ჰოვარდის წესით:

დ) თემის **„სისხლის მიმოქცევის"** შესწავლისას, — სისხლის ნაკლოვანება და მისი აღდგენის საშუალებანი, — ანტისეპტიკური და ასეპტიკური ღონისძიებანი, სისხლის გადასხმა და მისი მნიშვნელობა, დონორი და რეციპიენტი, სისხლის კონსერვირება;

4. **მე-9 კლასებში, დარვინიზმის საფუძვლებში,** — გერმანული ფაშიზმის რასიული თეორიის ანტიმეცნიერული და კანიბალური ხასიათი; „სოციალური დარვინიზმი", როგორც ანტიდარვინიზმი, შეთითხნილი ფაშისტების მიერ ყაჩაღური თავდასხმებისა და ისტორიული კულტურის მქონე ერების წინააღმდეგ ბარბაროსული ბრძოლების გასამართლებლად.

5. ბიოლოგიის კურსთან დაკავშირებული სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის საკითხების გაცნობა-დაუფლებასთან ერთად საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი თეორიულად და პრაქტიკულად მოსავლის გადიდების ის ღონისძიებანი, რომლებიც მოცემულია საქარ-

თველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მიერ 1940 წ. 8 ოქტომბერს დამტკიცებულ „მითითებებში“ (იხ. მითითებანი სოფლის სკოლებში ბიოლოგიისა, ფიზიკისა, მათემატიკისა, გეოგრაფიისა და ხაზვის პროგრამების თეორიული კურსის სათანადო თემების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ).

6. კოლეგია ავალებს განათლების განყოფილებათა გამგეებს, სკოლების დირექტორებსა, სასწავლო ნაწილის გამგეებს და ბიოლოგიის მასწავლებლებს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელება მოახდინონ ბიოლოგიის მთელი სასკოლო კურსის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საფუძველზე.

7. ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკითხების სათანადოდ სწავლებისათვის მასწავლებლებმა ისარგებლონ შემდეგი ლიტერატურით:

1. „გარდავქმნათ ბუნებისმეტყველების სწავლება სამამულო ომის შესაბამისად“— 1941 წ. საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სასწავლო-მეთოდური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა.

2. „სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი“, 1941 წ. სახელგამის გამოცემა.

3. „ველურ წამლეულ მცენარეთა შეკრება-გახმობის წესები“. (გამოვა).

4. „ჩაის კულტურა სასკოლო სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე“, შ. ჩუბინიძე.

5. „საზაფხულო დავალებები ბუნებისმეტყველებაში“, თ. მეტრეველი და მ. ნოზაძე.

6. „ჟურნალ კომუნისტური აღზრდისათვის“—1940 წ. №1, 9, 11. 1941 წ. №1, 2-3, 4.

7. ეს დადგენილება განხილულ იქნეს პედკაბინეტებში და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

---

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა ფიზიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებთან შეფარდებით.

**1941 წ. 14 ნოემბერი**

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით ფიზიკის სწავლების საქმეში მთელი რიგი სკოლების მასწავლებლებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს მუშაობა. გაძლიერდა თვალსაჩინოების გამოყენება, ლაბორატორიული და პრაქტიკული ხასიათის საწრეო მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო ხასიათის იარაღების აგების და მათი მოქმედების პრინციპების გაგებას, თავდაცვის პირობებში სხვადასხვა სახის ფიზიკურ მოვლენებში ორიენტირებას და ამ მოვლენების ახსნას ფიზიკის კანონების საფუძველზე. ქ. თბილისის მე-6 საშ. სკოლის მასწ. გ. სანაძე, მე-17 საშუალო სკოლის მასწ. გ. კობახიძე, მე-37 საშუალო სკოლის მასწ. ა. იაროშენკო, მე-65 საშუალო სკოლის მასწ. ვ. შაპოშნიკოვი, მე-13 საშუალო სკოლის მასწავ. კ. გაუსმანი, მე-50 საშუალო სკოლის მასწ. გ. კაზარიანი, ქ. გურჯაანის საშუალო სკოლის მასწ. ლ. მესხაძე, სამტრედიის საშუალო სკოლის მასწ. ი. შანიძე და სხვა საშუალო სკოლების მასწავლებლები სათანადო ყურადღებას აქცევენ ფიზიკის კურსის დაკავშირებას სამხედრო ტექნიკასთან. ამ სკოლების მოსწავლეებმა უკვე შეისწავლეს სროლის დროს ტყვიამფრქვევში გამოყოფილი სითბოს რაოდენობის გამოანგარიშება, ტანკის და თვითმფრინავის სიჩქარე, ბენზინის დიდი კალორიანო-

ბა, როგორც ენერგიის წყაროსი — ტანკების, თვითმფრინავების, გემების და სხვა მანქანათა მოძრაობისათვის, უკუცემის მოვლენების გამოყენება ავტომატურ იარაღებში, ყუმბარის ვარდნა მოძრავი თვითმფრინავიდან, პიკირების მნიშვნელობა, რუპორის გამოყენება სამხედრო საქმეში, დაელექტროებული მავთულღობურები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა, ჯერ კიდევ ვერ შესძლო მთლიანად გარდაექმნა თავის მუშაობა.

სამამულო ომის ამოცანებთან შესაბამისად — ფიზიკის კურს ვერ უკავშირებენ სამამულო ომის მიერ სკოლის წინაშე დასმულ ამოცანებს, ვერ აცნობებენ სამხედრო ტექნიკის საფუძვლებს, სამხედრო იარაღის აგების პრინციპებს, არადამაკმაყოფილებლად დგას ლაბორატორიული, საწრეო-პრაქტიკული მუშაობა და ამოცანების ამოხსნა (ქ. თბილისის მე-16 საშუალო სკოლა, მასწ. ნ. ჭუმბურიძე, მისაქციელის საშუალო სკოლა (მცხეთის რ.) მასწ. ი. მალაზონია, სიღნაღის მოზრდილთა საშუალო სკოლა, მასწ. ტ. ფოფხაძე და სხვ.).

**კოლეგია ადგენს:**

I. არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა, ფიზიკის კურსის პროგრამებით გათვალისწინებული თემების სწავლების დროს, მოსწავლეებს მისცენ სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო იარაღების საფუძვლებისა და აგების პრინციპების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

ამ მიზნით, ფიზიკის კურსის პროგრამებით გათვალისწინებული თემების შესწავლისას მოსწავლეებს თეორიულად და პრაქტიკულად გააცნონ შემდეგი სამხედრო მნიშვნელობის მქონე საკითხები.

**I. მე-6 კლასებში:**

ა) თემა—„**წნევა**“—თხილამურის დანიშნულება თოვლზე სიარულისათვის, მუხლუხოვანი ტრაქტორი, მუხლუხოვანი ტანკის წნევის გამოანგარიშება, ჯავშნიანი ავტომობილი, ტანკის და ადამიანის მიწაზე წნევათა შორის შედარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თემა — „**სითხეებში და გაზებში ჩაშვებულ სხეულებზე მომქმედი ძალები**“— პონტონები, წყალქვეშა ნავი, მცურავი ტანკი, ნავტიკები, ჩაძირული გემების ამოღების ტექნიკა, გემების წყალწყვა, ჰაერღობურები, ჰაეროსტატი, დირიჟაბლი;

გ) თემა — „**თანაბარი სიჩქარე**“ ტანკისა და თვითმფრინავის სიჩქარე;

დ) თემა — „**ხახუნის ძალა**“ — ბორბლის ან მუხლუხას ხახუნი ქვემეხის ან ტანკის მოძრაობის დროს და ავტომანქანის ბორბლების ბუქსირება და ხახუნის გადიდების საშუალებანი;

ე) თემა — „**ძალის მუშაობა**“, — თვითმფრინავის, ავტომანქანის, ტანკის, გემის, წყალქვეშა ნავის მოტორების სიმძლავრე, მოძრავი ყუმბარის კინეტიკური ენერგია და აფეთქების სიმძლავრე;

ვ) თემა — „**მექანიკური ძრაობა**“—ყუმბარის ტრაექტორია;

ზ) თემა — „**მარტივი მექანიზმები**“—დახრილი სიბრტყის გამოყენება გადამზიდი მანქანების იარაღებით დატვირთვის დროს;

თ) თემა — „**სითბოს გადაცემა**“ — მიწურები, ხის ნაწილების მნიშვნელობა შამხანაში, ცეცხლის კოცონები, როგორც საშუალება მომწამლავი ნივთიერებისაგან თავდასაცავად, ტყვიამფრქვევის ლულის გაცივება და ჰაერში კონვექციური დინების მნიშვნელობა ავიაციისათვის;

**2. მე-7 კლასებში**

**ა) თემები — „სითბური ენერგიის გაზომვა“** და „**სითბური მანქანები**“ — ბენზინის დიდი კალორიანობა, როგორც ტანკების, თვითმფრინავების, გემების და სხვათა მოძრაობის ენერგიის წყარო, შიდაწვის ძრავის სამხედრო გამოყენება (ტანკი, თვითმფრინავი, მოტოციკლი და სხვ. (სამოტორო საწვავი);

**ბ) თემა — „სხეულთა ელექტრიზაცია“,—**

ელექტროული ნაპერწკალი, როგორც აფეთქების საშუალება და ნაღმების აფეთქება;

გ) თემა — **„დენის კანონები“**, — დაელექტროებული მავთულლობურები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, გაუვნებლობა მაღალი ძაბვის მავთულლობურისა, ვოლტას რკალი და მისი გამოყენება პროჟექტორში;

დ) თემა — **„სინათლის მოვლენები ორი გარემოს გამყოფ ზედაპირზე“**, — ჰელიოგრაფი, როგორც კავშირ-გაბმულობის საშუალება სამხედრო საქმეში, პერისკოპი, პროჟექტორი და ოპტიკური სამიზნე;

ე) თემა — **„თეთრი სინათლის ფერებად დაშლა“**, — სხეულთა ფერი და შენიღბვის ამოცანა; შენიღბვის მიზნით ადგილობრივი საგნების ფონის გამოყენება, ავტომობილების და თვითმფრინავების შენიღბვა;

### 3. მე-8 კლასებში

ა) თემა — **„სწორხაზოვანი მოძრაობა“**,— ტყვიისა და ყუმბარის სიჩქარე;

ბ) თემა—**„მოძრაობის კანონები ნიუტონის“**, — უკუცემის მოვლენები, უკუცემის გამოყენება ავტომატურ იარაღებში, მოძრავი თვითმფრინავიდან სროლის დროს უკუცემის წინააღმდეგ ბრძოლა;

გ) თემა — **„ძრაობათა შეკრება“**, — ჰორიზონტალური და ვერტიკალური სროლა; სროლა კუთხით, ავიოყუმბარების ვარდნა, ყუმბარსაფარი და სანგრები, მათი მოწყობის პრინციპი, ტყვიის სროლის სიშორე და სიმაღლე, ავიოყუმბარების ვარდნა მოძრავი თვითმფრინავიდან, პიკირების მნიშვნელობა;

დ) თემა—**„მექანიკური ენერგია“**,—ტივტივას, პონტონის და სხვათა ამწევი ძალის გამოანგარიშება და მათ მიერ ჯავშანის გახვრეტის უნარი;

ე) თემა — **„არქიმედის კანონი“**. ტივტივას, პონტონის და სხვა ამწევი ძალის გამოანგარიშება, გემის წყალწყვა, სამხედრო გემის ტიპები (სახაზო გემი, წყალქვეშა ნავი, წყლის ნაღმი), ტორპედი, ნაღმების ამოკრეფა;

ვ) თემა — **„ატმოსფერული წნევა“**, — თვითმფრინავის ფრენის სიმაღლის გაზომვა ბარომეტრით, სიმაღლის მიხედვით ჰაერის სიმკვრივის ცვლილების ცნება, ფრენა სტრატოსფეროში და ხელოვნური ჟანგბადიანი სუნთქვა;

ზ) თემა — **„ბრუნვითი მოძრაობა“** — ხრახნილოვანი რანდების მნიშვნელობა ცეცხლმსროლელ იარაღებში, ყუმბარა და ტყვია, როგორც ჟიროსკოპი, პიკირების დროს ცენტრიდანული ძალის გამოანგარიშება;

თ) თემა — **„სითხეების და გაზების მოძრაობა“**, — შუბლითი წინააღმდეგობა სხეულთა მოძრაობის დროს, პარაშუტის მოძრაობა, გარსდინებადობა; გარსდინებადი ფორმის მიცემა ტყვიებისა და ჭურვებისათვის; თვითმფრინავის კონსტრუქციის სქემა, თვითმფრინავის ფრთა, თვითმფრინავის ამწევი ძალა; ტყვიის და ჭურვების სიჩქარის შეცვლასთან დაკავშირებით ჰაერის წინააღმდეგობის ძალის შეცვლა;

### 4. მე-9 კლასი.

ა) თემა — **„ბგერა“**, — რუპორი, ტანკაფონი გეოფონი და ჰიდროფონი, თვითმფრინავის ადგილმდებარეობის განსაზღვრის ბინაურალური ხერხი, ბგერის დამჭერები, ქვემეხის მდებარეობის განსაზღვრა სალულე ტალღის გავრცელების რეგისტრაციის საშუალებით (ბგერის მზომები);

ბ) თემა — **„სითბო-ენერგია“**, — თვითმფრინავში და ტანკში გამოყენებული საწვავი მასალის დიდი კალორიანობის მნიშვნელობა;

გ) თემა—**„მყარ სხეულთა თვისებები“**,— მასალათა სიმტკიცე; ჯავშანი, ჯავშნიანი მატარებელი, ავტომანქანა და ტანკი, ტანკების სახეები, ტყვიისა და ყუმბარებისაგან თავდასაცავი სხვადასხვა მასალის სისქე (რკინა, ბეტონი, ქვიშა, მიწა და სხვ.);

დ) თემა — **„გაზის და ორთქლის მუშაობა“**, — შიდაწვის ძრავი და მისი გამოყენება სამხედრო საქმის სხვადასხვა დარგში, ცეცხლის მსროლელი იარაღი, როგორც საომარი მანქანა, ცეცხლმსროლელი იარაღის მარგი მოქმედების კოეფიციენტი და სიმძლავრე; ცეცხლმსროლელი იარაღის სი-

მძლავრის შედარება ჰიდროელსადგურის სიმძლავრესთან;

**5. მე-10 კლასი.**

ა) თემა — **„ელექტროდენის კანონები“**,— დაელექტროებული მავთულლობურები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა;

ბ) თემა — **„მაგნიტური ველი და ელექტრომაგნიტური ინდუქცია“**, — მაგნიტური ნაღმები, ტელეგრაფის გამოყენება სამხედრო საქმეში და ტელეგრაფის აპარატი, ტელეფონები ინდუქციური და ფონიური, საველე ტელეფონის აპარატის შეერთების სქემა, ნაღმების და ფუგასების აფეთქების ელექტრული ხერხის სქემა;

გ) თემა — **„ელექტრომაგნიტური რხევები და ტალღები“**, — რადიოს გამოყენება თანამედროვე ომში, რადიოტელემართვა;

დ) თემა—**„სინათლის წყაროები**,—ოპტიკური სიგნალიზაცია, გამანათებელი შუშხუნები;

ე) თემა — **„სინათლის მოვლენები ორი გარემოს საზღვარზე“**, — შაშხანის ოპტიკური სამიზნე, პერისკოპი წყალქვეშა ნავში, საარტილერიო პანორამა, სტერეომილი, სფერული სარკე და ოპტიკური მინა, პროჟექტორები და სინათლის წყაროები პროჟექტორებში, მანძილმზომი, ბინოკლი;

ვ) თემა—**„დისპერსია და გამოსხივება“**— ჰაეროფოტოგრაფიის გამოყენება სამხედრო საქმეში, ინფრაწითელი სხივების გამოყენება ფოტოგრაფიაში, ფერადი ფოტოგრაფია, შენიღბვა და განიღბვა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. სამამულო ომთან დაკავშირებით ფიზიკის სწავლების წინაშე დასმული ამოცანების საუკეთესოდ გადაწყვეტის მიზნით, მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცდების ჩატარებისა და საპროგრამო კურსის მთავარი თემების ლაბორატორიული წესით დამუშავების და შესწავლის საქმეს.

III. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ფიზიკის კაბინეტებმა უზრუნველყონ, სამამულო ომთან დაკავშირებით ფიზიკის სწავლების საკითხებზე საჭირო მეთოდური წერილების დამუშავება და გამოცემა.

კოლეგია ავალებს სკოლის ხელმძღვანელ მუშაკებსა და ფიზიკის მასწავლებლებს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი განახორციელონ ფიზიკის მთელი კურსის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საფუძველზე, რადგან სამხედრო ტექნიკის მაღალხარისხოვანად დაუფლება შეუძლებელია მიღწეული იქნეს ფიზიკის სისტემატიკური კურსის კარგად ცოდნის გარეშე.

---

## ПОСТАНОВЛЕНИЕ КОЛЛЕГИИ НКПРОСА ГРУЗИНСКОЙ ССР от 31 октября 1941 г.

### О ПОСТАНОВКЕ ИЗУЧЕНИЯ РУССКОГО ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ В РУССКИХ ШКОЛАХ ГРУЗИНСКОЙ ССР В УСЛОВИЯХ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ

Коллегия отмечает, что на основе указаний, данных преподавателям в начале учебного года о перестройке работы по русскому языку и литературе в русских школах в связи с Отечественной войной, в ряде школ преподаватели справились с этой задачей.

В отдельных школах районов и г. Тбилиси преподаватели начали учебный год с изучения произведений непосредственно связанных с воспитательными задачами школы в дни Отечественной войны. Так, преподаватели V-х классов русских школ начали курс

с стихотворения М. Ю. Лермонтова «Бородино», учитывая, что в наши дни оно должно волновать особенно патриотически. Наряду с раскрытием идейного смысла произведения учителя провели словарную работу, подобрав слова прежней и современной военной техники. Богатырям бородинской битвы были приведены в параллель подвиги красных бойцов наших дней (17, 43, 47, 101 шк.).

В VI кл. учителя начали год с патриотического стихотворения Лебедева-Кумача «Мы любовью Родины богаты» и стихотворение Гусева «Народная война». После изучения этих стихотворений преподавательница Буруксузян (101 шк.) предложила учащимся ряд тем: «За Родину», «Эпизод из второй Отечественной войны», «Что я знаю о Великой Отечественной войне». Несколько учащихся, отвечая на тему, написали собственные стихотворения. («Завет», «Напомним мы немцам былое», «За родину»).

При изучении отрывка «Сталин и Ворошилов на фронте», из произведения А. Толстого «Хлеб» (учительница Радолина—43 шк.) обращает внимание учащихся на спокойствие, уверенность в победе, бесстрашие перед опасностью, которые проявляют товарищ Сталин и Ворошилов в грозные для страны дни. Изучая стихотворение Языкова «Пловец», учительница Мухаринская (18 шк.) связывает идею этого стихотворения с сегодняшним днем: несмотря на то, что враг силен, что страна в опасности, мы твердо верим, что победа будет за нами. Трудности есть и будут еще впереди, но «там за далью непогоды есть блаженная страна, но туда выносят волны только сильного душой!»...

Преподавательница Сементовская (17 шк.), говоря с учащимися о задачах предстоящей работы, использовала слова т. Молотова: «Весь наш народ должен быть сплочен и един, как никогда, каждый из нас должен требовать от себя и от других дисциплины, организованности, самоотверженности». Учительница рассказала учащимся очерк Павленко «Слава отважным героям».

При изучении вольнолюбивой лирики Пушкина преп-ца Никифорова (43 шк.), разъясняя учащимся смысл слов «пробуждает лирой добрые чувства», остановилась на величайшем чувстве — любви к родине. В работе над поэмой Лермонтова «Беглец» уч-ца Асламазова (47 шк.) использовала отрывок из «Обращения к евреям всего мира», в котором властно звучит призыв к мщению за пролитую кровь. На поэмах «Беглец» и «Мцыри» преп. Веселовская (47 шк.) воспитывает в учащихся любовь к сильным и смелым и презрение к трусам и изменникам.

Интересные образцы по увязке программного материала с Отечественной войной дает еще ряд других учителей: Озерова (43 шк.), Юшанцева (47 шк.), Дашкевич-Месхи (56 шк.), Майкова (58 шк.) и др.

При проведении письменных работ преподаватели дают темы, связанные с жизнью: «Борьба за родину» по «Слову о полке Игореве», «Любовь к родине — самое святое чувство» по стих. «Емшан» и др. На уроках языка используется материал о великой Отечественной войне. Так, был взят очерк Новикова Прибоя «Слава русской революции», передовая «Правды»—«Народные мстители», «Героический комсомольский 306-ой полк», стих. Безыменского об этом полку и многое др.

Перестройка работы преподавателей русского языка отразилась и на внеклассной работе. Большую работу в этой области провела 56 шк. В первые же дни войны коллектив этой школы под руководством директора т. Дашкевича-Месхи сорганизовал из учащихся агитбригаду, которая разучила литмонтаж, составленный директором этой школы на тему «Советская женщина в дни Отечественной войны». Агитбригада с успехом неоднократно выступала среди рабочих, частей Красной Армии, директоров школ, учителей и учащихся. Та же агитбригада 56 русской средней школы создала второй литмонтаж на тему: «Комсомол, в первые ряды!».

Интересный литмонтаж на тему: «Родина зовет» составили педагоги-сло-

весники 17-й шк. для выступления в подшефном госпитале. Над литмонтажами работают и др. школы (43, 101 и т. п.).

Однако наряду с достижениями в ряде школ районов и г. Тбилиси имеются серьезные недочеты в работе. Эти школы не только не перестроились в связи с условиями Отечественной войны, но вообще неудовлетворительно работают: слабо поставлены предметные комиссии, не налажено внеклассное чтение и кружковая работа, учащиеся дают низкие показатели грамотности и культуры речи (13, 55, 104, 106 шк. гор. Тбилиси, Горийская V русская средняя школа).

Придавая исключительно важное значение изучению русского языка учащимися школ Грузинской ССР в связи с военно-оборонными задачами школы, когда знание русского языка необходимо нашей молодежи, будущим бойцу и командиру Красной Армии, коллегия постановляет:

1. Одобрить и рекомендовать методы работы по русскому языку преподавателей вышеуказанных школ гор. Тбилиси, прививающих учащимся твердые знания по русскому языку, литературе и воспитывающих в них глубокую и непримиримую ненависть к фашистским извергам и глубокую любовь к своей родине.

2. Вести преподавание русского языка и литературы на более высоком научном уровне, а не сводить его к элементарно - практическому упрощенному курсу и формальному усвоению.

3. Развернуть в школах решительную борьбу за повышение грамотности и культуры речи учащихся. С этой целью включить всех преподавателей в единый фронт борьбы за культуру речи учащихся и в единый орфографический режим.

4. На уроках литературного чтения проводить углубленный анализ произведений, а не сводить уроки литературного чтения к так наз. «об'яснительному чтению», так как оно не использует литературы как могучего средства воспитательного воздействия на учащихся.

5. При изучении литературных произведений широко использовать глубокое воздействие художественной литературы для развития в учащихся горячей и активной любви к своей Родине, готовности с оружием в руках встать на ее защиту. В параллель к программному материалу привлекать факты, отражающие героическую борьбу советского народа за Родину, честь и свободу.

6. Придавая большое значение повышению общей культуры школьника, организовать во всех классах внеклассное чтение. Пополнить школьные библиотеки новой литературой, составить списки рекомендательных книг для чтения по классам, включив произведения на современную тематику.

7. В работе литературных кружков уделить должное внимание изучению произведений, отражающих героику настоящего и прошлого советского народа («Война и мир» Л. Н. Толстого, «Севастопольская страда» Сергеева-Ценского, «Как закалялась сталь» Н. Островского и др.).

8. Развивать и поощрять литературное творчество учащихся в форме творческих работ в классе, стихотворений на патриотические темы, выпуска литературных журналов и помещения статей, фельетонов и заметок в школьную стенгазету.

# დადგენილება

## საქ. სსრ განსახკომის კოლეგიისა სამამულო ომის პირობებში თავდაცვითი ღონისძიებათა გატარების შესახებ დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში.

**1941 წ. 14 ნოემბერი**

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამამულო ომის პირობებში თავდაცვითი ღონისძიების გატარების საქმეში ზოგიერთმა სკოლამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ქ. თბილისის მე-11, მე-16, 72-ე, 26-ე, 65-ე, ველისციხის (გურჯაანის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლებში წესიერად ტარდება შუქშენიღბვა, სკოლები უზრუნველყოფილია ხანძრის საწინააღმდეგოდ საჭირო იარაღებით და ხელსაწყოებით; მასწავლებლებისა და მოსწავლეთა შემადგენლობიდან ჩამოყალიბებულია თავდაცვითი ჯგუფები, ნორმალურად სწარმოებს ჯგუფებში მეცადინეობა და სხვა.

მაგრამ სკოლების დიდ ნაწილში, ამ საპასუხისმგებლო საქმისადმი სკოლების დირექტორების გულგრილი დამოკიდებულების შედეგად, დღემდე არ არის გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები. ასე, მაგალითად, გურჯაანის საშუალო სკოლის შენობაში არ იცავენ შუქშენიღბვის წესებს, არ არის მოწყობილი თავდასაცავები, სკოლას არ გააჩნია თავდაცვის გეგმა, არაა გამოყოფილი საგუშაგოები, არ არის შეძენილი ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარი, არ არის ჩამოყალიბებული თავდაცვის ჯგუფები და სუსტად მიმდინარეობს მოსწავლეთა შორის „საჰაერო თავდაცვის საქმეში მოწაფეთა სამახსოვრო“ წიგნაკში მოცემული წესების შესწავლა. ასეთივე მდგომარეობაა გორის მე-4, მცხეთისა, ტირძნისისა (გორის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლებში.

### კოლეგია ადგენს:

1. დაევალოს დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლის ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის უფროსებს — დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებისა და პედაგოგიურ - სასწავლებლების დირექტორებს (გამგეებს) პირადი პასუხისმგებლობით, უმოკლეს ხანში უზრუნველჰყონ თავდაცვის ობიექტის-სკოლის სრული მზადყოფნა საჰაერო თავდაცვისათვის, რისთვისაც:

1) დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლის მუშაკთა საშტატო შემადგენლობა და მოსწავლეები მთლიანად ჩააბან სკოლის საჰაერო თავდაცვის საქმეში;

2) შეარჩიონ და დანიშნონ სკოლის საჰაერო თავდაცვის ხელმძღვანელები, საჰაერო თავდაცვის საგუშაგოს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობა;

3) შეადგინონ სკოლის საჰაერო თავდაცვის გეგმები და ანგარიშები და აწარმოონ მათი ხარჯვა დანიშნულების მიხედვით;

4) სკოლის საშტატო შემადგენლობას შეაძენინონ „ბნ“ აირწინაღები, ხოლო სათანადო აირწინაღები მოსწავლეთათვის შეაძენინონ თვით მოსწავლეთა მშობლებს;

5) შეიძინონ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვისათვის სპეციალური ქონება-ინვენტარი;

6) მოაწყონ და მუდამ წესიერ, მოქმედებისათვის მზადყოფნის მდგომარეობაში, იქონიოს საჰაერო განგაშის შეტყობინების საშუალებანი;

7) არსებული სარდაფები და ნახევარსარდაფები მოაწყონ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის თავშესაფრებად, ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში საჰაერო თავდაცვის ადგილობრივი შტაბების მითითებით,

მოაწყონ საველე ტიპის თავდასაცავები (თხრილები) საჭირო რაოდენობით;

8) ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უბნის (რაიონის) შტაბის მეშვეობით მიაწერონ ყველა მოსწავლე ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უახლოეს აირთავშესაფარს და თავდასაცავს;

9) განათების სისტემა გადააკეთონ ელექტრო-განათების გამოთიშვის შემთხვევაში განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასაყვანად და წესრიგში იქონიონ სრული შუქშენილბვის საშუალებანი;

10) დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლისა და პედაგოგიურ სასწავლებლის მთელს პირად შემადგენლობას შეასწავლონ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის სიგნალები, მოქმედების წესები, აგრეთვე დახმარების აღმოჩენის წესები დაჭრის, დაწვისა და მოწამვლის შემთხვევაში;

11) გაატარონ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი: გარეშე საგნებისაგან გაანთავისუფლონ დერეფნები, გასასვლელები, კიბეები სხვენი და უზრუნველჰყონ სხვენზე სილის დაყრა 2—5 სანტიმეტრის სისქეზე; არ დაუშვან საწვავი მასალის შენახვა დაწესებულ ნორმაზე მეტი რაოდენობით; მოამარაგონ სახანძრო საგუშაგო საჭირო ინვენტარით და ხანძრის საქრობი საშუალებებით (სილა, წყალი, ცეცხლმქრობი, ცულები, ნიჩბები და სხვ.);

12) უყოყმანოდ შეასრულონ ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის ორგანოების და სახალხო განათლების განყოფილების ყველა მითითება და განკარგულება საჰაერო თავდაცვის დარგში;

13) დაუყოვნებლივ აცნობონ ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის შტაბს და სახალხო განათლების განყოფილებას დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლების ტერიტორიაზე მომხდარი დაზიანების თითოეული შემთხვევის შესახებ;

14) მკაცრად დაიცვან დისციპლინა და ყოველგვარი პანიკის წინააღმდეგ მიიღონ სასტიკი ზომები;

15) არდადეგების პერიოდში, მშობელთა აქტივისა და რაიონული ორგანიზაციების დახმარებით მოაწესრიგონ სკოლის შენობისა და ქონების დაცვის საქმე;

16) საშიში მდგომარეობის მთელი დროის განმავლობაში დააწესონ სკოლაში მორიგეობა მთელი ღამის განმავლობაში და ყოველდღიურად დანიშნონ პასუხისმგებელი მორიგეები;

17) ადმინისტრატიული სასჯელი დაადონ იმ პირებს, რომლებიც ადგილობრივი საჰაერო-თავდაცვის ხაზით გაცემულ განკარგულებებს არ ასრულებენ;

II — ყველა დაწყებით, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში შეიქმნეს თავდაცვის ჯგუფები, შემდეგი რგოლებისაგან: **სახანძრო რგოლი, სანიტარული რგოლი, წესრიგის დაცვისა და მეთვალყურეობის რგოლი და სადეგაზაციო რგოლი.** რგოლების ფუნქციები შემდეგი სახით განისაზღვროს:

1. **სახანძრო რგოლში** გაერთიანდნენ მოცემული სკოლის უფროსი ასაკის მოსწავლენი. სახანძრო რგოლებმა აწარმოონ შემდეგი სახის მუშაობა:

ა) წესიერ მდგომარეობაში იქონიონ სახანძრო ინვენტარი (კასრები, ვედროები, ნიჩბები, მაშები, ბარჯები, ნაჯახები, ძალაყინები);

ბ) თვალყური ადევნონ სკოლის ეზოსა და შენობის ფართობის, სხვენების, დერეფნების, მისასვლელი გზების ხანძარსაშიში ნივთებისაგან გაწმენდა-გასუფთავების საქმეს;

გ) სისტემატურად შეამოწმონ უზრუნველყოფილია თუ არა სკოლის შენობა წყლით, სილით, ან მშრალი მიწით ცეცხლწამკიდი ავიობომბებისა და მათგან გამოწვეული ხანძრის ჩასაქრობად;

დ) უშუალო საშიშროების შემთხვევაში შეატყობინონ თავდაცვის ობიექტს განგაშის შესახებ;

ე) საჭიროების შემთხვევაში ჩააქრონ ხანძარი და თავიდან აიცილონ-მოსალოდნელი საფრთხე.

2. **სანიტარულ** რგოლში გაერთიანდნენ

ის მოსწავლე ქალიშვილები, რომელთაც აქვთ სპეციალური მომზადება, — ჩაბარებული აქვთ ნორმები „მზად ვარ სანიტარული თავდაცვისათვის“. სანიტარულ რგოლებს ხელმძღვანელობა გაუწიონ ექიმებმა, სადაც ასეთები არ არიან — ექთანებმა ან ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა. სანიტარულმა რგოლებმა:

ა) დაჭრილთა და დაშავებულთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის საქმეში გაწაფვის მიზნით სისტემატურად აწარმოონ ვარჯიში;

ბ) იქონიონ მედიკამენტებისა და სახვევი საშუალებების მარაგი საკაცე და სხვა, საჭირო მოწყობილობა სათანადო შემთხვევაში გამოსაყენებლად;

გ) საჭიროების დროს პირველი დახმარება აღმოუჩინონ დაჭრილებსა და დაზარალებულებს;

**3. წესრიგის დაცვისა და მეთვალყურეობის რგოლში** გაერთიანდნენ უფროსი კლასელი მოსწავლეები. რგოლის მოვალეობაში შევიდეს:

ა) სასკოლო შენობებსა, დამხმარე ნაგებობებსა და ეზოში მორიგეობის დაწესება;

ბ) სათანადო მეთვალყურეობის გაწევა შუქშენილბვის წესების დაცვის უზრუნველსაყოფად;

გ) საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში მოსწავლეების თხრილებში და თავშესაფარებში მოთავსების საქმისათვის ხელის შეწყობა;

დ) აქტიური დახმარების აღმოჩენა მილიციის ორგანოებისა და გამანადგურებელ ბატალიონებისათვის ჯაშუშებისა, დივერსანტებისა და საეჭვო პირების შეპყრობის საქმეში.

I. სადეგაზაციო რგოლში გაერთიანდნენ საშუალო სკოლის მე-8, მე-9 მე-10 კლასის და პედაგოგიური სასწავლებლის I, II, III კლასის მოსწავლეები. სადეგაზაციო რგოლს ხელმძღვანელობა გაუწიოს — ქიმიის მასწავლებელმა სადეგაზაციო რგოლებმა— აწარმოონ შემდეგი სახის მუშაობა:

ა) წესიერ მოქმედებისათვის მზადყოფნის მდგომარეობაში იქონიონ მოწამლული ობიექტის უვნებელსაყოფად საჭირო სადეგაზაციო იარაღები, ხელსაწყოები და ნივთიერებანი (ნიჩბები, ხელით სატარებელი ცხრილი, ხელით საგორებელი ხელსაწყო, მექანიზირებული ხელსაწყო, ქლორკირი და სხვ);

ბ) გააცნონ მოსწავლეებს და ქიმიური დაცვის ობიექტის ყველა მუშაკს თხევადი მნ დეგაზაციის მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური მეთოდები.

III —- დაევალოს სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილების გამგეებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო (საქალაქო) საბჭოს და სსრ კავშირის შინსახკომის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ორგანოების მითითებებისა და საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის ამ დადგენილების საფუძველზე საჰაერო-თავდაცვის საქმეში დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებს და პედაგოგიურ სასწავლებლებს კონკრეტული დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ და სათანადო სასჯელი დაადონ სკოლების იმ მუშაკებს, რომლებიც საჰაერო-თავდაცვის საქმეში არსებულ წესებს დაარღვევენ.

აღნიშნული დადგენილება განხილულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა დაწყებით, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებსა და პედაგოგიური სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე.

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5216

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. 6 ნოემბერი**

### დროებით ევაკუირებულ მოქალაქეთა შვილებისა და სტუდენტების სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ.

იმ მიზნით, რომ დროებით ევაკუირებულ მოქალაქეთა ბავშვებსა და სტუდენტებს შეექმნეთ სწავლის დაუბრკოლებლივ გაგრძელების საშუალება და გატარებული იქნეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი, **ვბრძანებ:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ დაწყებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების დირექტორებს დაუბრკოლებლივ ჩარიცხონ სათანადო კლასებში, ფაკულტეტებზე და კურსებზე ევაკუირებული მოსწავლეები და სტუდენტები.

2. დროებით ევაკუირებული მოსწავლეებისა და სტუდენტების ჩარიცხვა შემდეგი წესით იქნეს წარმოებული:

ა) ევაკუირებულ მოსწავლეთა მშობლებსა და სტუდენტებს მოეთხოვოთ შემოწმებული ცნობა, ან მოწმობა სათანადო კლასის დამთავრებისა, ან კურსის გავლის შესახებ;

ბ) ისეთ შემთხვევაში, როდესაც ევაკუირებულებს ხელზე არ აღმოაჩნდებათ განათლების დამადასტურებელი საბუთები, მათი შესაფერ კლასებში ან კურსზე ჩარიცხვა მოხდეს დამხმარე საბუთების — დღიური, საკონტროლო ნამუშევრები, ლექციების ჩანაწერები, მატრიკულები, სტუდენტის ბილეთი, — სათანადო მოწმეებისა და, უკიდურეს შემთხვევაში, — სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხი პირის პირადი განცხადების საფუძველზე;

გ) სტუდენტის მიღება უმაღლეს სასწავლებელში დამხმარე (არა პირდაპირი) ხასიათის საბუთებით, როგორც წესი, ხდებოდეს განსახკომის სანქციით და სტუდენტის ჩარიცხვა გაფორმდეს მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატთან საკითხის შეთანხმების შემდეგ;

დ) არაპირდაპირი საბუთებით სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეებს დაენიშნოთ ერთი თვის გამოსაცდელი ვადა, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტებს — ერთი სემესტრი, რის შემდეგაც საბოლოოდ იქნეს გადაწყვეტილი მოსწავლისა და სტუდენტის სათანადო კლასში და კურსზე განწესების საკითხი.

3. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტების დირექტორებს ზუსტად გაატარონ ცხოვრებაში ეს ბრძანება და არ დაუშვან მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლის გარეშე დატოვება.

4. დაწყებითი და საშუალო სკოლისა და უმაღლესი სკოლების სამმართველოებმა სისტემატურად ადევნონ თვალყური ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარების საქმეს და სათანადო ზომები მიიღონ ბრძანებებით დადგენილი წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

**საფუძველი:** განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 4—ნოემბრის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი**

**გ. კიკნაძე**

პ/მგ. რედაქტორი გ. ი. კიზირია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 16/XII. ფორმატი 8×12
ქაღალდის ზომა 72×105. ფორმათა რაოდენობა 2. სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ფორმაში 120.000.
ტირაჟი 3000, შეკვეთა № 3320 უე43686
სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკასი“, რუსთაველის პრ., 36.
Тип. „Заря Востока“. Тбилиси, Руставели, 36. Заказ № 3320. Тираж 1500.

Сборник приказов и распоряжений, на груз. языке НКПроса ГССР. № 12
5-ый год издания.

41-385/44
ეროვნული
ბიბლიოთეკა